საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)

წლიური ანგარიში 2024

სარჩევი

2024 წლის წლიური ანგარიში....2
წინასიტყვაობა....2
გეოგრაფიული დაფარვა....4
მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები....4
ორგანიზაციის სტრუქტურა....5
ჩვენი გუნდი....5
წლიური შემოსავლები....6
მოკლე ინფორმაცია 2024 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ....6
პუბლიკაციები....8
ასოცირების ხელშეკრულებაში ასახული თემების ამსახველი განმარტებითი ანიმაციები....8
ღონისძიებები....8
მიმდინარე და განხორციელებული პროექტები....9
პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან....9
მიმართულებები....11
თემის განვითარების პროგრამა....12
საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება....18
სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა....19
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა....23
სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა....27
გავლენის ფონდი აქციო....32
პროექტი: უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის....42
მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა....44
კარგი მმართველობის ხელშეწყობა....47
ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა....48
კონტაქტი:....52

ფონდი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“

სამოქალაქო ორგანიზაცია

2024 წლის წლიური ანგარიში

29 წელი თქვენთვის და თქვენთან ერთად!

CSRDG დაარსდა 1995 წლის ივლისში, იმ დროს, როდესაც ქვეყანაში რთული პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა.

1995 წელს ქართული საზოგადოებისთვის პრაქტიკულად უცნობი იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცნება, თუმცა თვლიდნენ, რომ სწორედ ამ ფორმით არის შესაძლებელი მოსახლეობისთვის სასარგებლო საქმიანობის გაწევა. ამ იდეით, 1995 წლის ივლისში, დავაფუძნეთ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG). 29 წელია, ჩვენი გუნდი ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომელიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მთელს საზოგადოებას.

დაარსების დღიდან, ჩავატარეთ მრავალი კვლევა, ხელი შევუწყვეთ მრავალ საკანონმდებლო ინიციატივას, სათემო ორგანიზაციების ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოს რეგიონებში, მხარი დავუჭირეთ სოციალური საწარმოებისა და სოციალური სერვისების განვითარებას, გავხდით პიონერი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და ხელი შევუწყვეთ მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

წინასიტყვაობა

ჩვენი ღირებულებებისადმი დიდი ერთგულებით არის განპირობებული, რომ სამოქალაქო სექტორში 29 წლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ ჩამოვაყალიბეთ, როგორც ძლიერი კვლევითი ინსტიტუტი, სანდო პარტნიორი და საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაცია.

ჩვენთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა. მოცემულ დოკუმენტში ასახულია ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში, რომელიც ყოველწლიურად წარედგინება საზოგადოებას. ჩვენი პასუხისმგებლობაა დაინტერესებული მხარეების წინაშე ვიყოთ გამჭვირვალე და გაგაცნოთ ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ განვითარებაში ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან შეტანილი დადებითი წვლილი.

წინამდებარე ინტეგრირებულ ანგარიშში გაერთიანებულია ორგანიზაციის წლიური პროგრამული ანგარიში და გლობალური შეთანხმების ანგარიში, მიღწეული შედეგების შესახებ (Communication on Engagement).

2007 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია მიერთებულია გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას, ხოლო 2010 წლიდან CSRDG არის ”ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (Global Reporting Initiative /GRI) ორგანიზაციული მხარდამჭერი.

GRI | COMMUNITY MEMBER 2024

„ანგარიშგების გლობალური ინიციატივა” წარმოადგენს საერთაშორისო ქსელურ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მდგრადი განვითარების ანგარიშგების უნივერსალური ფორმატის შემუშავება და მუდმივი გაუმჯობესება.

UN GLOBAL COMPACT COMMUNICATION ON PROGRESS This is our **Communication on Progress** in implementing the principles of the **United Nations Global Compact** and supporting broader UN goals. We welcome feedback on its contents.	გაეროს გლობალური შეთანხმება კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე მასშტაბურ გლობალურ ინიციატივას წარმოადგენს. ის ეფუძნება ორგანიზაციათა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას განახორციელონ მდგრადი განვითარების უნივერსალური პრინციპები და მხარი დაუჭირონ გაეროს მიზნების განხორციელებას.

ამ ანგარიშის ფარგლებში ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს მუდმივ მხარდაჭერას გლობალური შეთანხმების ათი უნივერსალური პრინციპის მიმართ, ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და ანტიკორუფციული სფეროებში.

ასევე, ვადასტურებთ მზაობას ვითანამშრომლოთ გლობალურ შეთანხმებასთან და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მივიღოთ მის აქტივობებსა და ღონისძიებებში, ჩავერთოთ პარტნიორულ პროექტებში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში განვიხილავთ გლობალური შეთანხმების ინიციატივაში ჩართული სხვა კომპანიების წლიურ ანგარიშებს (Communications on Progress).

2024 წელს ორგანიზაცია ძირითადი პროგრამის ფარგლებში მუშაობდა სამი მსხვილი მიმართულებით: სამოქალაქო სექტორის განვითარება, ღია მმართველობის ხელშეწყობა, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა. ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა: თემის განვითარება, სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარების ინიციატივა, კარგი მმართველობა, ევროინტეგრაციის ხელშეწყობა, სოციალური მეწარმეობის, კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის და სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამები. ამ პროგრამების ფარგლებში 2024 წელს CSRDG-მ განახორციელა 8 მიმდინარე

პროექტი, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე ანგარიშში.

და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო CSRDG-ის პერსონალს, ჩვენს პარტნიორებსა და მხარდამჭერებს, დაინტერესებულ მხარეებს, რომელთა ძალისხმევამ მოგვცა საშუალება განვახორციელოთ ანგარიშში აღწერილი აქტივობები და მივაღწიოთ დასახულ მიზნებს. განსაკუთრებული მადლობა ორგანიზაციის თითოეულ თანამშრომელს, ვინც არ დაიშურა ენერგია, უპასუხა ამდენ გამოწვევას და წარმატებით, ახალი უნარებით, ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილმა, დაასრულა ეს ურთულესი წელი.

ეკა ურუშაძე,

აღმასრულებელი დირექტორი, CSRDG

გეოგრაფიული დაფარვა

ჩვენი საქმიანობების არეალი მოიცავს მთელს საქართველოს, თუმცა, ცალკეული მიმართულების ფარგლებში, ორგანიზაცია ინტენსიურად მუშაობს ცალკეულ მიზნობრივ მუნიციპალიტეტში. კერძოდ, ლაგოდეხი, ყვარელი, სიღნაღი, თელავი, გურჯაანი, საგარეჯო, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, ოზურგეთი და ლანჩხუთი.

ჩვენი სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში.

მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები

საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ჩვენ ხელს ვუწყობთ ქვეყნის მდგრად განვითარებას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეყობის გზით.

ჩვენ პატივს ვცემთ, თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

სტრატეგიული მიზანი: აქტიური სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

ორგანიზაციის სტრუქტურა



ჩვენი გუნდი

1. ეკა ურუშაძე 2. ეკა დათუაშვილი 3. ნინო ვასაძე 4. ვახტანგ კობალაძე 5. მაკა ასამბაძე 6. მანანა მჭედლიშვილი 7. ქრისტინე კანდელაკი 8. დოდო გოქაძე 9. ეკატერინე (ანა) ილურიძე 10. ნათია მეტრეველი 11. ზურაბ ტატანაშვილი 12. ანა ნადირაშვილი 13. ლია თოდუა 14. ნინო ქიტუაშვილი	15. თამარ გობეჯიშვილი 16. ლელა ხოფერია 17. ნონა ალადაშვილი 18. ლევან როსტომაშვილი 19. ქეთევან კალანდაძე 20. ნია ჭელიძე 21. დავით ჩიკვაიძე 22. ანა ფილაური 23. მარიამ მჭედლიშვილი 24. ნათია ჩიქოვანი 25. ნინი ხუგაშვილი 26. ნინი გელაშვილი 27. გვანცა გილაური

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება

დონორებისგან დაფინანსება წლების მიხედვით

- **2020 – ლარი 3,495,122**
- **2021 – ლარი 3,903,783**
- **2022 – ლარი 4,307,501**
- **2023 – ლარი 4,588,116**
- **2024- ლარი 3,898,703**

წლიური შემოსავლები

დასახელება	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**
გრანტის სახით მიღებული შემოსავლები	3,495,122	3,903,783	4, 307, 501	4,588,116	3,898,703
შემომწირველებისგან მიღებული თანხები	47,090	27, 222	126,241	190,962	81,299
ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი	62,276	41, 786	3 390	139,602	234,075
ჯამი	**3,604,488**	**3, 972, 791**	**4, 437, 132**	**4,918,680**	**4,214,077**

მოკლე ინფორმაცია 2024 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ

- გვაქვს მიმდინარე 8 პროექტი (საგრანტო კონტრაქტები);
- ახალბედა სათემო ორგანიზაციების ლიდერებისთვის მომზადდა საგანმანათლებლო ბანაკის დეტალური პროგრამა, რომელიც მოიცავს ბანაკის კონკრეტულ მიზნებს, ამოცანებს, საკითხებს და მეთოლოგიას, ასევე ბანაკის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმებსა და რეგისტრაციის დეტალებს.
- სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით, დაფინანსდა 7 პროექტი. ყველა მათგანი წარმატებით განხორციელდა.
- თემის განვითრების პროგრამამ, რეგიონული ორგანიზაციების კონსორციუმთან ერთობლივად ინტენსიურად იმუშავა ქსელის 12 წევრ ორგანიზაციასთან და საინიციატივო ჯგუფთან.

- დაფინანსებული საგრანტო პროექტების ფარგლებში მომზადდა 16 პუბლიკაცია ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ;
- მომზადდა და ვებ-გვერდზე(asocireba.ge) განთავსდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების 15 განმარტებითი ანიმაცია
- შემუშავდა დეტალური რეკომენდაციები შინმოვლის პროგრამის დიზაინის, სტანდარტებისა და მათი განხორციელების რეფორმისთვის.
- ახლად შექმნილი სოციალური მომსახურების დანერგვის მიზნით, მხარდაჭერა გაეწია მუნიციპალიტეტებს საოპერაციო ინსტრუმენტების შემუშავებაში (რეგისტრაციის ფორმები, ანგარიშგების შაბლონები, განცხადებები).
- ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის – „თოლისკურის“ შესაძლებლობების გაძლიერებით, მოხდა ШШმ ბავშვებისთვის დღის ცენტრის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.
- პრობონო საქმეში 16 კომპანიის 53 კონსულტანტი იყო ჩართული. საერთო ჯამში, 814 პრო ბონო საათი დაიხარჯა. ამ პრობონო საქმეებით სულ ისარგებლა 68 ორგანიზაციამ;
- შემუშავდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ორენოვანი დოკუმენტი.
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ვებ პლატფორმაზე გამოქვეყნდა 16 ბლოგი. ბლოგები მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა Meliora-ს გამარჯვებულების გამოცდილება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აღსანიშნავი პრაქტიკა საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე.
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამამ მოქალაქეებს გაუწია 81 კონსულტაცია, რომელიც მოიცავდა უამრავ სამართლებრივ და არასამართლებრივ საკითხს.
- პრო ბონო მედიაციის ჩარჩოს ფარგლებში ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრების სერია, მათ შორის პრო ბონო მარათონი და ყოველწლიური ქსელური შეხვედრა.
- "საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი მელიორა 2024" ჩატარდა.
- სოციალური მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში ვითანამშრომლეთ 22 სოციალურ საწარმოსთან;
- სოციალური მექარმეობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 6 სოციალური საწარმო, 3 სტარტაპი (ოდა ქეარი, ბრილი არტი, ლითქიდი) და 3 განვითარების საწარმო (დადარი, დედიკო, ცისარტყელა).
- CSRDG-მ ჩაატარა 47 სხვადასხვა ტრენინგი, სემინარი და სამუშაო შეხვედრა სოციალური საწარმოებისთვის (SE), სათემო ორგანიზაციებისთვის (CBOs),

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის (NGOs), ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. ამ ღონისძიებებმა სულ 1264 მონაწილემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 983 ქალი და 280 მამაკაცი.

- CSRDG-მ 2024 წელს დააფინანსა 78 ფიზიკური პირისა და ორგანიზაციის პროექტი, საგრანტო თანხის საერთო ოდენობა იყო 1 179 621 ლარი.

პუბლიკაციები

- დაფინანსებული საგრანტო პროექტების ფარგლებში მომზადდა 38 პუბლიკაცია ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ. პუბლიკაციები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე - asocireba.ge

ასოცირების ხელშეკრულებაში ასახული თემების ამსახველი განმარტებითი ანიმაციები

- წყლის რესურსების მართვა
- სასამართლოს რეფორმა
- საჯარო შესყიდვები
- სამეწარმეო სამართალი
- ჰაერის დაცვა
- არჩევნების საერთაშორისო პრინციპები
- არჩევნები როგორც დემოკრატიის საფუძველი
- საარჩევნო სისტემები
- ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა
- კონკურენციის სამართალი
- საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვა
- ავტოტრანსპორტის რეგულირება
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
- სურსათის ევროპული კანონმდებლობა
- ცხოველური წარმოშობის სურსათი

ღონისძიებები

- მელიორა 2024
- პრობონო მარათონი 2024
- პრობონო ფორუმი 2024

მიმდინარე და განხორციელებული პროექტები

1. სამოქალაქო ჩართულობა, სოციალური პასუხისმგებლობა და კარგი მმართველობა - (ორგანიზაცია პური მსოფლიოსთვის)
2. მომსახურებები უფროსი თაობის ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში (II ფაზა) (ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა)
3. ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის (გაეროს განვითარების პროგრამა)
4. თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (ევროკავშირი)
5. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის (ევროკავშირი, კონრად ადენაუერის ფონდი)
6. სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის (ევროკავშირი, ორგანიზაცია პური მსოფლიოსთვის)
7. უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის (ევროკავშირი)
8. გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება (ევროკავშირი)

პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან

მიზანი	**CSRDG-ის პროგრამა**	**გვერდი**
მიზანი 1 – სიღარიბის აღმოფხვრა	თემის განვითარება; სოციალური მეწარმეობა; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის;	**12,27,42;**
მიზანი 2 – ნულოვანი შიმშილი		
მიზანი 3 – ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	სოციალური მომსახურების განვითარება;	**19;**

მიზანი 4 – ხარისხიანი განათლება	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური მეწარმეობა; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის;	**12,23,27,42;**
მიზანი 5 – გენდერული თანასწორობა	თემის განვითარება; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის; ევროინტეგრაცია	**12,42,48;**
მიზანი 6 – სუფთა წყალი და სანიტარია		
მიზანი 7 – ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია		
მიზანი 8 – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური მეწარმეობა; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის;	**12,23,27,42;**
მიზანი 9 – მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა		
მიზანი 10 – შემცირებული უთანასწორობა		
მიზანი 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები	თემის განვითარება; კარგი მმართველობა	**12,47;**
მიზანი 12 – მდგრადი მოხმარება და წარმოება	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; კარგი მმართველობა	**12,23,47;**

მიზანი 13 – კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები		
მიზანი 14 – ოკეანისა და ზღვის რესურსები		
მიზანი 15 – დედამიწის ეკოსისტემები		
მიზანი 16 – მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები	კარგი მმართველობა	**47;**
მიზანი 17 – პარტნიორობა მიზნების მისაღწევად		

მიმართულებები

ორგანიზაციაში სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება არსებობს, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას და ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება პროგრამები, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

1. სამოქალაქო სექტორის გაერთიანება
2. კარგი მმართველობის ხელშეწყობა
3. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა

<u>სამოქალაქო სექტორის განვითარება</u> - ორგანიზაციაში მიმდინარე ერთ-ერთი პირველი სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის ამოცანასაც, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან საკუთარი მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების დაცვის და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდების გაუმჯობესების ხელშეწყობა წარმოადგენს. სამოქალაქო სექტორის განვითარების ქვეშ თემის განვითარებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების, სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამები ერთიანდებიან.

<u>თემის განვითარება</u> (სოფლის და თემის დონე) - თემში ინსტიტუციური, ადვოკატირებისა და რესურსების მობილიზების უნარების გაძლიერება, რათა თემის წევრებმა ადგილობრივ განვითარებაში შეძლონ აქტიური და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

<u>საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება</u> - ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ შესთავაზონ უკეთესი სერვისი მიზნობრივ ჯგუფებს.

<u>სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა</u> - საქართველოში უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება, სადაც დაცული და მხარდაჭერილი იქნება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები.

თემის განვითარების პროგრამა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, **თემის განვითარების მიმართულებით, 1998 წლიდან მუშაობს.**

მიმართულების მიზანი, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და სათემო ლიდერების, სამოქალაქო ორგანიზაციების თუ საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერაა, რათა ამ ჯგუფებმა შეძლონ საკუთარი თემის ინტერესების უკეთ წარმოჩენა და არსებულ საჭიროებებზე რეაგირება.

ამისათვის, **პროგრამა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით მუშაობს:**

- სათემო ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება
- სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერა
- ქვეყანაში არსებული სათემო ორგანიზაციატა ქსელების გაძლიერება
- ფილანტროპიის პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების დანერგვა

პროგრამა თავისი საქმიანობით მთელ ქვეყანას ფარავს, თუმცა უფრო ინტენსიურად კახეთის, სამეგრელოს, გურიის და შიდა ქართლის რეგიონებში მუშაობს.

სათემო ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება/კავშირების ხელშეწყობა და მათ შორის გამოცდილების გაზიარება

ამ მიმართულებით მუშაობა მოიცავს თემის განვითარების რესურს ცენტრის (**CDRC.GE**) გარკვეულ საქმიანობებს, როგორიცაა სათემო ჯგუფების და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის ე.წ. რუქის პერიოდული განახლება, სათემო ორგანიზაციებისათვის საჭირო ინფორმაციების/სიახლეების მიწოდება, თემატური კვლევების ჩატარება და სათემო ორგანიზაციების ერთობლივი შეხვედრების - სათემო ლიდერთა ყოველწლიური ფორუმის ორგანიზება.

საგანმანათლებლო ბანაკი ახალბედა სათემო ორგანიზაციების ლიდერებისთვის

ბანაკი დაგეგმილია, წინასწარ კონკურსის საფუძველზე შერჩეული 15 ახალბედა სათემო ორგანიზაციის/ჯგუფის ლიდერებისთვის. მისი ხანგრძლივობა იქნება ერთი კვირა და იგი თეორიული და პრაქტიკულ ცოდნის ერთგვარი ნაზავი იქნება.

საწყის ეტაპზე, იმ მიზნით, რომ ბანაკის პროგრამა მაქსიმალურად მორგებოდა სათემო ლიდერების საჭიროებებს, ჩატარდა სათემო ორგანიზაციების და ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების ინტერესების კვლევა. იგი დაეფუძნა თვისებრივ მეთოდოლოგიას, კერძოდ ZOOM პლატფორმის საშუალებით, ჩატარდა შვიდი ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ; ამასთან ერთად, ჩატარდა ერთი ფოკუს-ჯგუფი, რომელში მონაწილეობაც მიიღო შვიდმა ადამიანმა. კვლევაში გამოყენებული იყო მიზნობრივი შერჩევა.

კვლევა წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- გამოწვევები, რომლებსაც დამწყები სათემო ორგანიზაციები/საინიციატივო ჯგუფები აწყდებიან რეგიონში;
- კომპეტენციები, რომლის გაფართოებაც მნიშვნელოვანია დამწყები სათემო ორგანიზაციის წევრებში;
- საგანმანათლებლო ბანაკის ფორმატი, რომელიც მაქსიმალურად სარგებლის მომტანი და საინტერესო შეიძლება იყოს მონაწილეებისთვის;
- ბანაკის მსვლელობისას განსახილველი ძირითადი თემები.

კვლევამ აჩვენა, რომ დამწყებ სათემო ორგანიზაციებში დომინირებს ისეთი გამოწვევები, როგორიცაა - თემში ნდობის მოპოვება; ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია; ორგანიზაციებში კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და წევრებში ისეთი მნიშვნელოვანი უნარების დეფიციტი, როგორიცაა - ეფექტური კომუნიკაცია; ლიდერობა და გუნდის მართვა; პროექტების წერა და კოორდინირება; დავალებების დელეგირება; გარდა ამისა, მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა ორგანიზაციის წარმომადგენლებში დაბალი შინაგანი მოტივაცია და საკუთარ ფინანსურ სარგებელზე წუხილი და პირადი კეთილდღეობის, სოციალურზე წინ დაყენება.

კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით მომზადდა ბანაკის დეტალური პროგრამა, რომელიც მოიცავს ბანაკის კონკრეტულ მიზნებს, ამოცანებს, საკითხებს და

მეთოლოგიას, ასევე ბანაკის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმებსა და რეგისტრაციის დეტალებს.

სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის განახლება

ქვეყნის მასშტაბით აქტიური სათემო ორგანიზაციების რუკის მონაცემების განახლება რეგულარულად მიმდინარეობს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების სიზუსტე და აქტუალობა. ბოლო განახლება განხორციელდა 2024 წლის აპრილში. მისი შედეგით, მონაცემთა ბაზა მოიცავს **117 აქტიურ სათემო ორგანიზაციას**, რაც ასახავს არსებულ სიტუაციას — ნაწილი ორგანიზაციებისა საქმიანობას აღარ აგრძელებს.

სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერა

თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში თითქმის ყოველწლიურად, მთელი ქვეყნის მაშტაბით ცხადდება საგრანტო კონკურსი მცირე სათემო პროექტების და ინიციატივების მხარდასაჭერად. საგრანტო კონკურსის თემატიკა განსხვავებულია, თუმცა მათი მიზანი ყოველთვის უცვლელია: ა) ადგილებზე არსებული პრობლემების მოგვარება და საჭიროებებზე რეაგირება, თავად ადგილობრივი ჯგუფების ძალისხმებით და მოსახლეობის ჩართულობით და ბ) პროექტის განხორციელების საშუალებით და ამ პროცესში პროგრამის გუნდის ინტენსიური მენტორინგით, თავად სათემო ჯგუფების და ლიდერების შესაძლებლობების განვითარება, როგორც უნარების გავარჯიშების, ისე თვითდაჯერებულობის ამაღლების და თემში აღიარების / ნდობის გაზრდის მეშვეობით.

ივლისის თვეში, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის ძალაში შესვლის კვალდაკვალ, სპეციალური კონკურსი გამოცხადდა სსო-ების ინსტიტუციური მდგრადობასა და დაცულობაზე. სულ მასში მონაწილეობა მიიღო 43-მა სუბიექტმა, **საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით კი დაფინანსდა 7 პროექტი. ყველა მათგანი წარმატებით განხორციელდა.**

პროექტების მოკლე აღწერა:

ორგანიზაციის დასახელება	პროექტის სახელი	მიზანი
სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“	ახალი კანონის მოქმედების პირობებში ორგანიზაციული მდგრადობის მხარდაჭერა	"უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ" კანონის მოქმედების პირობებში RICDOG-ის საქმიანობის გაგრძელება და კანონის მექანიზმების ამოქმედების პროცესის თანმხლები ზიანის შემცირება.

რეგიონლური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“	იმერეთის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის გაძლიერება ინფორმირებულობის გზით	იმერეთის რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებზე სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა; არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ციფრული უსაფრთხოებაზე და პერსონალური ინფორმაციის დაცულობაზე ცოდნის ამაღლება
სოციალურ მუშაკთა გაერთიანება	სოციალურ მუშაკთა ინსტიტუციური მედეგობის გაძლიერება	სოციალურ მუშაკთა გაერთიანების მართვის პროცესში დემოკრატიული პრინციპების დანერგვისა და ორგანიზაციის გამჭვირვალობა ანგარიშვალდებულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა
ასოციაცია ანიკა	ანიკას ორგანიზაციული გაძლიერება მდგრადობის უზრუნველსაყოფად	ანიკას გაძლიერება მდგრადობის შესანარჩუნებლად - საკომუნიკაციო სტრატეგიის გეგმის შემუშავება და აუდიტის ჩატარება
მწვანე სექტორი	ორგანიზაციული მხარდაჭერის ინიციატივა	ორგანიზაციის ფინანსური მართვის და საგადასახადო ანგარიშგების პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა,
გურიის მედიატორთა ასოციაცია	ახალი რეალობა – ახალი შესაძლებლობები	გურიის რეგიონში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრიზისულ გარემოსთან ადაპტირების,

		ინსტიტუციური გაძლიერებისა და მედეგობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.
მშრომელთა პლატფორმა	კიბერ უსაფრთხოებისა და მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაციის კიბერუსაფრთხოება	"მაუწყებლის" ოპერაციული მდგრადობის გაძლიერება, ცენტრალიზებული, უსაფრთხო მონაცემთა მართვის სისტემისა და კიბერუსაფრთხოების პრაქტიკების დანერგვით.

ქვეყანაში არსებული სათემო ჯგუფების ქსელის გაძლიერება

ეს მიმართულება, წინა წლებში ცენტრის სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში კახეთის, სამეგრელოს, გურიის და შიდა ქართლის მიზნობრივ სოფლებსა და დაბებში ფორმირებული სათემო ჯგუფების და ორგანიზაციების 27 წევრიანი ქსელის გაძლიერებას მოიცავს. კერძოდ, **ქსელის წევრების ტექნიკური (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები) და ფინანსური (პროგრამული დაფინანსება) მხარდაჭერის** გზით.

2024 წელს პროგრამამ, რეგიონული ორგანიზაციების კონსორციუმთან ერთობლივად ინტენსიურად იმუშავა **ქსელის 12 წევრ ორგანიზაციასთან და საინიციატივო ჯგუფთან.** ცენტრთან და მისი თელავის ოფისის წარმომადგენლებთან ერთად კონსორციუმის შემადგენლობაში შედიან რეგიონული ორგანიზაციების: საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია - კახეთი, განვითარების კერა - სამეგრელო და დემოკრატიული განვითარების კავშირი - გურია წარმომადგენლები.

რაც შეეხება 12 სათემო ორგანიზაციას, ესენი არიან საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის (იორმუღანლო, ვაჩნაძიანი და მაღრაანი), ყვარელის და სიღნაღის (ახალსოფელი, ზინობიანი და ბოდბე), ზუგდიდის (ახალაბასთუმანი, ჭითასკარი, ნარაზენი და შამგონა), ოზურგეთის და ლანჩხუთის (ასკანა და სუფსა) მუნიციპალიტეტებში მოქმედი სათემო ჯგუფები, რომელთაც ჩაუტარდათ ჯამში 4 ტრენინგი ისეთ თემებზე როგორიცაა: ორგანიზაციის ხილვადობის გაზრდის ციფრული ინსტრუმენტები, ქრაუდფანდინგ კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება, საზოგადოების ჩართულობა და მოცვა (Outreach).

სათემო ორგანიზაციების ქსელის წევრებისთვის ასევე, გაგრძელდა ონლაინ შეხვედრების ციკლი სახელწოდებით „სათემო საუბრები“, წლის მანძილზე ჩატარდა 4 ორ-სამ საათანი შეხვედრა, მათთვის საინტერესო შემდეგ საკითხებზე:

- „თემის ლიდერთა ჩართულობა სასკოლო კვების პროგრამის ადვოკატირების კამპანიაში“
- ხელოვნური ინტელექტი და მისი გამოყენება

- შეხვედრა ფსიქოლოგთან – როგორ დავიცვათ თავი სტრესისგან
- კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ – რეგულაციები და სამართლებრივი შედეგები

ჯამში ამ შეხვედრებს დაესწრო 91 ადამიანი, ამათგან 10 კაცი და 81 ქალი.

2023 წელს მხარდაჭერილმა სათემო ჯგუფებმა, წინა ეტაპებზე სამოქმედო გეგმების განხორციელებისას დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით და არსებული კონტექსტის უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის ხელახლა ინიციირების გათვალისწინებით, მოამზადეს 3 და 4 თვიანი სამოქმედო გეგმები. არსებული კონტექსტის შესაბამისად, სათემო ჯგუფებმა თავიანთ გეგმებში მეტი აქცენტი ევროპული ფასეულობებსა და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე გააკეთეს.

ჯამში დამტკიცდა და შესაბამისი საგრანტო დაფინანსება გაიცა **11 სამოქმედო გეგმის** შესრულებაზე. 11-ივე პროექტი დაიწყო 2024 წლის ივნის-ივლისში და დასრულდა 2024 წლის ოქტომბერში (საპარლამენტო არჩევნებამდე).

ფილანტროპიის პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების დანერგვა

ამ მიმართულებით ორგანიზაციამ საქმიანობა 2020 წლიდან დაიწყო და პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმასთან ერთად საკმაო გამოცდილების დაგროვებაც შეძლო. საქმიანობა ძირითადად მოიცავს საზოგადოებაში კონცეფციიის პოპულარიზაციას, მის მაგალითებზე და ფორმებზე მეტი ინფორმაციის და განათლების შეტანას, და ისეთი მოდელების დანერგვას და ხელშეწყობას, როგორიცაა **სათემო ფონდები** (Community Foundations) და **ქრაუდფანდინგი** ანუ სახალხო დაფინანსება.

იდეების აუქციონის ორგანიზება

რიგით მესამე, იდეების აუქციონი დაგეგმილი იყო ამ წლის დეკემბრისთვის, შესაბამისად განხორციელდა მისი მოსამზადებელი სამუშაოები, შეიქმნა დაგეგმვის გუნდი და ინტენსიურად ჩატარდა შეხვედრები, მოხდა ნომინანტი ორგანიზაციების სიების დახვეწა და განახლება, რის შემდეგაც მათთვის, 2024 წლის აგვისტოს თვეში გამოცხადდება აუქციონზე წარსადგენი 3 ინიციატივის შესარჩევი კონკურსი.

კონკურსზე სულ წარმოდგენილ იქნა **8 წინადადება**, რომლებიც გადაეცა ჟიურის წევრებს განსახილველად. ოქტომბრის დასაწყისში სპეციალურმა ჟიურიმ, გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, შეარჩია **3 აუქციონის მონაწილე**:

- **ფესტივალი „ულევი“** – მარტყოფის თემი
- **სასირეთის ახალგაზრდული სპორტდარბაზი** – სასირეთის თემი
- **წიგნიერება უკეთესი მომავლისთვის** – წალკის თემი

შერჩეული სამოქალაქო ჯგუფებისთვის გაიმართა სპეციალური ონლაინ ვორქშოფი და ცოცხალ ფორმატში ტრენინგი ფიჩინგის თემაზე.
ასევე, მომზადდა აუქციონზე წარსადგენი პრომო მასალები, მათ შორის ორი მოკლე ვიდეო, რომლებიც ასახავდა 2023 წლის იდეების აუქციონის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების შედეგებს. ვიდეოები გავრცელდა პირდაპირი მხარდამჭერებისა და დონორების მეილინგლისტში, ასევე სოციალურ ქსელებში.

სამწუხაროდ, არსებული დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გამო ღონისძიება თავდაპირველად **2025 წლის იანვრისთვის** გადაიდო, თუმცა პროექტის გუნდის გადაწყვეტილებით, საბოლოოდ გაუქმდა.

სათემო ფონდების ინიცირება

ამავე მიმართულების ქვეშ, გაგრძელდა სათემო ფონდების კონცეფციის პოპულარიზაცია და მისი ინიცირებისთვის საჭირო სამუშაოების ჩატარება თელავის მუნიციპალიტეტში.

CSRDG გუნდმა ხელი შეუწყო თელავის საინიციატივო ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს. შედეგად, თელავის სათემო ფონდმა შეიმუშავა მისია და ლოგიკური ჩარჩო მომავალი 3 წლიანი საქმიანობისთვის.

2024 წლის დასაწყისში **თელავის სათემო ფონდი ოფიციალურად დარეგისტრირდა**, და დაიწყო ფონდის შემდგომი სამოქმედო გეგმის განხორციელება.

მარტის თქვეში გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემავის სათემო ფოდნის გუნდთან, მოწვეული ექსპერტის მონაწილეობით, რომლის მიზანი იყო ფონდის დახმარება ქრაუდფანდინგ კამპანიის გეგმის მომზადებაში. შემუშავებულ საბოლოო დოკუმენტში გათვალისწინებული იყო რამდენიმე ადგილობრივი სამოქალაქო ინიციატივის მხარდაჭერა სხვადასხვა ქრაუდფანდინგ ინსტრუმენტის გამოყენებით.

სამწუხაროდ, **უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ კანონის ინიცირებისა და ამოქმედების გამო**, სამიზნე სათემო ფონდმა საკუთარი გამგეობის გადაწყვეტილებით, შექმნილი რთული გარემოს გათვალისწინებით, საქმიანობის დროებით შეჩერება გადაწყვიტა. ფონდი იურიდიულად კვლავ არსებობს, მაგრამ ამჟამად არ ფუნქციონირებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ხელს ვუწყობთ საქართველოში სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებას, ცნობადობის ამაღლებასა და საზოგადოებაში მათ მიმართ ნდობის გაძლიერებას. ამ მიმართულებით მუშაობა 1998 წლიდან დავიწყეთ.

მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუდმივად ვთავაზობთ მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც საშუალებას აძლევთ გაიუმჯობესონ ორგანიზაციის მართვის სისტემები, თავიანთ მიზნობრივ აუდიტორიას შესთავაზონ ხარისხიანი მომსახურება და რაც ყველაზე მთავარია, უზრუნველყონ ორგანიზაციის ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობა.

აქტივობები

ზოგადად, პროექტის აქტივობები განაწილებულია CSRDG-ის სხვადასხვა პროგრამებზე. თუმცა, ყველა აქტივობა და მიღწეული შედეგი ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას. საერთო ჯამში, 2024 წლის განმავლობაში, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მოთხოვნით, CSRDG პროგრამის ფარგლებში მომზადდა და განხორციელდა 47 სხვადასხვა სემინარი, ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ჯამში 1264 მონაწილე დაესწრო.

სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა

„ბენეფიციარები არ არიან უცხო, მოწყვლადი ადამიანები ან ჯგუფები, ბენეფიციარები ვართ თითოეული ჩვენგანი, რომლებიც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, სხვადასხვა გარემოების გამო ვხვდებით მოწყვლად მდგომარეობაში და გვჭირდება ღირსების და სხვა უფლებების დაცვით მხარდაჭერა.“ - **ზურაბ ტატანაშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი**.

2024 წლის განმავლობაში CSRDG აქტიურად მონაწილეობდა სოციალური მომსახურებების, განსაკუთრებით კი შინმოვლის, განვითარებაში. წლის დასაწყისში ორგანიზაციის ექსპერტები ჩაერთნენ კოორდინაციის შეხვედრებში წითელ ჯვართან და სხვა ორგანიზაციებთან, სადაც განიხილებოდა ახლად დანერგილი შინმოვლის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება. ამ შეხვედრებმა შექმნა მნიშვნელოვანი პლატფორმა ისეთი გამოწვევების განსახილველად, როგორიცაა: მომსახურების მიმწოდებლებისა და ბენეფიციარების რეგისტრაცია, პირველადი ჯანდაცვის და ხარისხის სტანდარტების ინტეგრაცია.

CSRDG-მ განაახლა მონაწილეობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის ფარგლებში, არსებული ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტის ორი თემატური ჯგუფის მუშაობაში: 1) ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომის განხორციელება და 2)მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. ამ ჯგუფებში ჩართულობა უზრუნველყოფს შინმოვლისა და ზოგადად სოციალური მომსახურების საკითხების (მათ შორის, ისეთების რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვებსა და ხანდაზმულებზე) შესახებ ეროვნულ დონეზე ინტერსექტორულ დიალოგს.

პარალელურად, CSRDG-მ შეიმუშავა და დახვეწა ადვოკატირების გეგმა, სადაც გაწერილი იყო საჭიროებების შეფასების, მონაცემთა შეგროვებისა და დაინტერესებულ მხარეთა რეგულარული კონსულტაციების მეთოდოლოგია, რაც მოემსახურება ეროვნული შინმოვლის კონფერენციის ჩატარებას. სახელმწიფო შინმოვლის პროგრამის პირველი წლის შედეგების შესაფასებლად CSRDG-მ მოამზადა დეტალური კვლევის მეთოდოლოგია. ორგანიზაციამ ჩაატარა 38 სიღრმისეული ინტერვიუ 6 მუნიციპალიტეტში, მომსახურების მიმწოდებლებთან, ჯანდაცვის სპეციალისტებთან და ბენეფიციარებთან.

კვლევამ გამოკვეთა სისტემური ხარვეზები, როგორიცაა: შემზღუდველი ჩართვის კრიტერიუმები („მწოლიარე“ აუცილებელი მოთხოვნა), ქალაქსა და სოფლის

მოდელებს შორის არსებული უთანასწორობა, პერსონალის დაბალი ინფორმირებულობა და ბენეფიციართა შეფასების ბარიერები. შემუშავდა 93 რეკომენდაცია, რომელიც გადაეცა სამინისტროსა და შინმოვლის სამუშაო ჯგუფის წევრებს, 2025 წლის პროგრამის დიზაინის გაუმჯობესების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობისათვის.

2024 წელს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მომსახურების მიმწოდებლების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა მათ შეძლონ ხარისხიანი მომსახურების დაგეგმვა, მიწოდება და მომსახურების ხარისხის შეფასება.

იანვრიდან ივნისამდე, CSRDG-ის ექსპერტებმა ჩაატარეს საკონსულტაციო შეხვედრები დმანისში, გარდაბანში, თეთრიწყაროსა და ბოლნისში ადგილობრივი მერიის თანამშრომლებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან. საკონსულტაციო სესიები მიზნად ისახავდა 2023 წელს მრავალაქტორული ჯგუფის მუშაობის ფარგლებში შემუშავებული და მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებული ახალი სოციალური მომსახურებების განხორციელების ხელშეწყობას. მხარდაჭერა მოიცავდა განხორციელებისათვის საჭირო სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ბენეფიციარების რეგისტრაციის ფორმების შედგენას, საჯარო განცხადებების შედგენას, ანგარიშგების შაბლონების შექმნას და ხარჯთაღრიცხვის შესახებ ტექნიკურ კონსულტირებას. გარდაბანში CSRDG-მ მონაწილეობა სატენდერო მოთხოვნების ჩამოყალიბებაში და შეიმუშავა ყოველთვიური და წლიური ანგარიშგების ფორმები პროგრამის მონიტორინგის გასაუმჯობესებლად. ბოლნისში კონსულტაციების დროს გამოიკვეთა სამოქალაქო ორგანიზაციების ინტერესები და პოტენციალი სოციალური მომსახურების მიწოდების მიმართულებით, რამაც გზა გაუხსნა საზოგადოებაზე დაფუძნებული აქტორების უფრო ფართო ჩართულობას.

შესაძლებლობების განვითარება ასევე გავრცელდა რეგისტრირებულ და პოტენციურ შინმოვლის მომსახურების მიმწოდებლებზე. 30 მაისს CSRDG-ს დაზრუნვის ექსპერტებმა ეთობლივად გაუწიეს ფასილიტაცია ტრენინგს შინმოვლის ხარისხის სტანდარტების მოთხოვნებზე, მომსახურების დოკუმენტირებასა და ინდივიდუალური სოციალური მუშაობის გეგმების შედგენაზე ფოკუსით. წლის ბოლოს, პრაქტიკის სტანდარტიზაციის მიზნით, მომსახურების მიმწოდებლებს გადაეცათ ნიმუშის შაბლონები, მათ შორის სოციალური ინტერვენციის ფორმა.

ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით, CSRDG-ის ექსპერტები უწევდნენ სატელეფონო კონსულტაციებს და აძლევდნენ ტექნიკურ რჩევებს მომსახურების მიმწოდებლებს, რათა მათ გადაელახათ გამოწვევები, როგორც სახელმწიფო შინმოვლის პროგრამის პილოტირების, ისე სხვა სოციალური მომსახურებების გაწევის პროცესში. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებითა და მათზე მორგებული ინსტრუმენტების მიწოდებით, CSRDG-მ წვლილი შეიტანა საქართველოში სოციალური მომსახურების სფეროში უფრო პროფესიონალური, უფლებებზე დაფუძნებული და ანგარიშვალდებული საფუძვლების ჩამოყალიბებაში.

ივლისში ორგანიზაციამ ჩაატარა ტრენინგი უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების დაგეგმვასა და მიწოდებაში სამეგრელოს რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომელშიც მონაწილეობდა 8 პირი, ხუთი ორგანიზაციიდან. შემდგომი კონსულტაციებისთვის შეირჩა, ორგანიზაცია „თოლისკური“, რომელსაც სურდა შშმ ბავშვების სახელმწიფო დღის ცენტრის

მიმწოდებლად რეგისტრაცია ხობში, სამეგრელოში. ორგანიზაციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები და სიღრმისეული კონსულტაციები, რაც ეფუძნებოდა სახელმწიფო პროგრამის რეგისტრაციის პროცედურებთან და სტანდარტებთან მიმართებაში ორგანიზაციული შესაძლებლობების შეფასებას. ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები: 1. უფლებებზე დაფუძნებული შემთხვევის მართვის ტრენინგი; 2. სასწავლო ვიზიტი ზესტაფონის დღის ცენტრში „ორიონი"; 3. კონსულტაციების სერია რეგისტრაციის პროცედურებთან, ხარჯების გაანგარიშებასთან, მომსახურების დაგეგმვასთან და ა.შ.

2024 წლის შედეგები

- რეგულარული მონაწილეობა შინმოვლის კოორდინაციის შეხვედრებში (იანვარი–დეკემბერი 2024).
- წევრობის განახლება ეროვნული კოორდინაციის კომიტეტის ორ თემატურ ჯგუფში.
- ექვსი საკონსულტაციო შეხვედრა ქვემო ქართლში, ადგილობრივი მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდასაჭერად.
- ტრენინგი შინმოვლის მომსახურების მიმწოდებლებისთვის ხარისხის სტანდარტების დანერგვაზე (მაისი 2024).
- „სოციალური ინტერვენციის ფორმის" შაბლონის შემუშავება და გავრცელება (აგვისტო 2024).
- 38 სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება 6 მუნიციპალიტეტში, მომსახურების მიმწოდებლებთან, ჯანდაცვის პროფესიონალებთან და ბენეფიციარებთან.
- 50-გვერდიანი ანალიტიკური ანგარიშის მომზადება 93 რეკომენდაციით სახელმწიფო შინმოვლის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
- მონაცემთა ვერიფიკაციის შეხვედრის ორგანიზება, სადაც დაიხვეწა დასკვნები და რეკომენდაციები.
- ხუთი ორგანიზაციისთვის ტრენინგის ჩატარება სამეგრელოში უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების დაგეგმვასა და მიწოდებაში.
- ადგილობრივი ორგანიზაცია „თოლისკურის" შესაძლებლობების განვითარება, რათა დარეგისტრირდეს შშმ ბავშვების სახელმწიფო დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებლად ხობში.

წლის ძირითადი მიღწევები

- შემუშავდა დეტალური რეკომენდაციები შინმოვლის პროგრამის დიზაინის, სტანდარტებისა და მათი განხორციელების რეფორმისთვის.
- ახლად შექმნილი სოციალური მომსახურების დანერგვის მიზნით, მხარდაჭერა გაეწია მუნიციპალიტეტებს საოპერაციო ინსტრუმენტების შემუშავებაში (რეგისტრაციის ფორმები, ანგარიშგების შაბლონები, განცხადებები).

- ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის – „თოლისკურის“ შესაძლებლობების გაძლიერებით, მოხდა შშმ ბავშვებისთვის დღის ცენტრის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

წარმატების ისტორია

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას 2024 წელს წარმოადგენდა დამოუკიდებელი კვლევის წარმატებით ჩატარება, რომელმაც შეაფასა სახელმწიფო შინმოვლის პროგრამის განხორციელების პირველი წელი. მიუხედავად სირთულეებისა – სამინისტროსა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მხრიდან მონაცემებზე წვდომის შეზღუდვისა და სამოქალაქო სექტორსა და ხელისუფლებას შორის არსებული დაძაბულობისა – CSRDG-მ მოახერხა პროგრამის პილოტირების ყოვლისმომცველი შეფასება 6 მუნიციპალიტეტის დაფარვით.

კვლევამ შეაგროვა მომსახურების მიმწოდებლების, ჯანდაცვის სპეციალისტებისა და ბენეფიციარების ხედვები, იმათი ხმა ვისზეც პროგრამას აქვს პირდაპირი გავლენა. დასკვნებში გამოიკვეთა არა მხოლოდ პროგრამის ხარვეზები, არამედ წარმოდგენილია პრაქტიკული, რეალური რეკომენდაციები – მაგალითად, „მწოლიარე“ პირის კრიტერიუმის გადახედვა, სოფლის და ქალაქის მოდელებს შორის ხარჯების თანაბარი განაწილება და ბენეფიციართა უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა.

კვლევა აღიარეს როგორც მნიშვნელოვანი მტკიცებულებაზე დაფუძნებული დოკუმენტი. მისი რეკომენდაციები გავრცელდა შინმოვლის სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის.

ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობის მიმართულების სტრატეგიულ ამოცანას ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა წარმოადგენს. ორგანიზაციაში ამ მიმართულებაში სამი პროგრამა ერთიანდება: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალური მეწარმეობა და მომხმარებლის უფლებების დაცვა.

<u>კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)</u> - CSR კონცეფცია და პრაქტიკა ხელს უწყობს სოციალურ და გარემოსდაცვით კეთილდღეობას ყველა სექტორში. ბიზნეს კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია გაიაზრონ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და აქტიური როლი შეასრულონ ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

<u>სოციალური მეწარმეობა (SE)</u> – სოციალური მეწარმეობის, როგორც ახალი მიდგომის განვითარება საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიისთვის, საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოსაგვარებლად. სოციალური

მეწარმეობით შესაძლებელია სოციალური პრობლემების დაძლევა, რომლებიც არ არის ბიზნეს კომპანიების ინტერესების ყურადღების ცენტრში და რომელთა გადაწყვეტისთვის მთავრობაში არ არის საკმარისი რესურსი.
მომხმარებელთა უფლებების დაცვა - ეფექტურად მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმები. ბიზნესი უფრო პასუხისმგებელია მომხმარებლების მიმართ, ხოლო მოქალაქეები, როგორც მომხმარებლები, უფრო აქტიურად იცავენ საკუთარ უფლებებს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა

2004 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პროგრამას. ადგილობრივი ორგანიზაციებიდან იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა. საქართველოში CSR-ის კონცეფციის პოპულარიზაციისა და სხვადასხვა სექტორის ინფორმირების მიზნით ცენტრი ატარებს კვლევებს, საკომუნიკაციო კამპანიებს, ტრენინგებს, სემინარებს, დაინტერესებულ მხარეთა ფორუმებს და კონფერენციებს, აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე მსხვილ, საშუალო და მცირე კომპანიებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიასთან.

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora

ეროვნული მასშტაბის კონკურსი, რომელიც CSRDG-ის მიერ 2018 წელს დაფუძნდა, აჯილდოებს საქართველოში მოქმედ ბიზნეს კომპანიებს მათ მიერ განხორციელებული საუკეთესო პროექტებისა და ინიციატივებისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სფეროში.

2024 წლის განაცხადების მიღება 15 იანვარს გაიხსნა და მოიცავდა ცხრა ნომინაციას, რომლებიც CSR-ის ძირითად მიმართულებებს ფარავს. მათ შორის იყო თემატური ნომინაციები (მწვანე ინიციატივა პასუხისმგებელი დამსაქმებელი კეთილსინდისიერი საქმიანობა ბაზარზე საზოგადოების მხარდაჭერა სექტორთა პარტნიორობა - გაზიარებული პასუხისმგებლობა გამჭვირვალობა და ანგარიშგება) წლის CSR-მენეჯერი, წლის პასუხისმგებელი მსხვილი კომპანია, წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, კონკურსის ყველა მასალა - განაცხადების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები და წესები - სრულად განთავსდა მელიორას ოფიციალურ ვებგვერდზე.

საკომუნიკაციო აქტივობებმა მოიცვა CSRDG-ისა და პარტნიორი ორგანიზაციების არხებით გავრცელებული განცხადებები, ასევე რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა, რომლებიც კომპანიებს განაცხადების მომზადებაში დაეხმარა. მათ შორის იყო სამი ონლაინ ჯგუფური შეხვედრა და ერთი პირისპირ სესია საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრებისთვის, აგრეთვე ჩატარდა ინდივიდუალური კონსულტაციებიც. ჯამში, კონკურსს მხარი დაუჭირა 32 პარტნიორმა ორგანიზაციამ — მათ შორის ბიზნესასოციაციებმა, საელჩოებმა და

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, ასევე 9 მედია პარტნიორმა და 4 სპონსორმა.

კონკურსში 59-მა კომპანიამ 86 განხორციელებული პროექტით მიიღო მონაწილეობა, რომლებიც მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა გარემოს დაცვა, ეთიკური ბიზნესპრაქტიკები, შრომითი უფლებები და თემების განვითარება.

ჟიური 34 წევრისაგან შედგებოდა, მათ შორის იყვნენ ქართველი და 12 ქვეყნიდან ჩამოსული საერთაშორისო ექსპერტები. ნამუშევრები ინდივიდუალური ქულებისა და კატეგორიის პანელური დისკუსიების მეშვეობით შეფასდა. პირველად, შემოღებულ იქნა „გრძელი სია“, რათა გამოვლენილიყო მაღალი ქულების მქონე და ვერგამარჯვებული განაცხადები.

დაჯილდოების ცერემონია გაიმართა 2024 წლის 2 ივლისს, თბილისის ისტორიის მუზეუმში - ქარვასლა. ღონისძიებას 200 სტუმარი ესწრებოდა - მონაწილე კომპანიები, ჟიურის წევრები, დიპლომატიური კორპუსის, სსო-ების, მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნეს ასოციაციებისა და მედიის წარმომადგენლები. გამოცხადდა და დაჯილდოვდა 7 გამარჯვებული ყველა კატეგორიაში, მსხვილ კომპანიებსა და მცირე და საშუალო ბიზნესში. მასალები ატვირთულია მელიორას ვებგვერდზე.

პრობონო მიმართულება

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

2015 წელს საქართველოს პრო ბონო ქსელის დაარსების დღიდან, CSRDG ხელს უწყობს თანამშრომლობას კომპანიებს შორის, რომლებიც მზად არიან გაუზიარონ თავიანთი ექსპერტიზა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებსაც პროფესიული მხარდაჭერა სჭირდებათ. 2024 წლისთვის ქსელი სხვადასხვა სექტორის 28 წევრამდე გაიზარდა. CSRDG ასევე კოორდინაციას უწევს პრო ბონო მედიაციის ინიციატივას, აკავშირებს კორპორატიულ მოხალისეებს ორგანიზაციებთან კონკრეტული საჭიროებების და ექსპერტიზის საფუძველზე.

პრობონო მარათონი

პრობონო მარათონისათვის მოსამზადებელი სამუშაოები თებერვლის თვეში დაიწყო, რაც მოიცავდა კომპანიებთან და არაკომერციულ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, საჭიროებების შეფასებას, გუნდების ფორმირებას და დაგეგმვის შეხვედრებს. რიგით მეექვსე ყოველწლიური მარათონი 17 აპრილს გაიმართა, სადაც ცხრა კომპანიის 33 კონსულტანტი შეიკრიბა, რათა შვიდ ორგანიზაციას საკომუნიკაციო კამპანიების შემუშავებაში დახმარებოდნენ. გუნდებმა ინტენსიურად იმუშავეს და ღონისძიების დასრულების შემდეგ აუდიტორიას საკუთარი გეგმები და მასალები წარუდგინეს.

პრობონო მედიაციები

საანგარიშო პერიოდში, CSRDG შუამავლობდა 15 პრობონო საქმეს. ჩატარდა 8 პრო ბონო სემინარი და მასტერკლასი, ასევე 7 ინდივიდუალური კონსულტაცია ისეთ თემებზე, როგორიცაა იურიდიული საკითხები, ადამიანური რესურსები, IT, ბრენდინგი, მარკეტინგი და სტრესის მართვა.

განხორციელდა 15 პრო ბონო პროექტი, რომელშიც ჩართული იყო 10 კომპანია და 20 პროფესიონალი. საერთო ჯამში, 332 პრო ბონო საათი დაიხარჯა. შესაბამისად, 61 არაკომერციულ ორგანიზაციას (საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სათემო ორგანიზაცია და სოციალური საწარმო) გაეწია დახმარება.

2024 წელს, მარათონებსა და მედიაციების მიმართულებით, 16 კომპანიის 53-მა წარმომადგენელმა, ჯამში 814 პრო ბონო საათი დაუთმო 68 ორგანიზაციას და მათ მხარი დაუჭირა სხვადასხვა საქმიანობებში.

პრობონო ფორუმი 2024

19 ნოემბერს, ფორუმმა შეკრიბა კერძო და სამოქალაქო სექტორის 50-ზე მეტი წარმომადგენელი, რათა განეხილათ კორპორატიული უნარების როლი საზოგადოებრივი გამოწვევების გადაჭრაში. ღონისძიება მოიცავდა პანელურ დისკუსიას კორპორატიული მოხალისეების მონაწილეობით, პრეზენტაციებს ბენეფიციარი ორგანიზაციებიდან, საჯარო ლექციას სახელწოდებით „ვოლუნეზია - მნიშვნელოვანი საქმეების კეთების თავისუფლება“ და ინტერაქტიულ სესიას, რომელიც უკავშირებდა პრო ბონო დახმარებას მდგრადი განვითარების მიზნებს. ჯილდოები გადაეცათ წლის პრო ბონო ლიდერს (თეგეტა ჰოლდინგი) და პრო ბონო ჩემპიონს (მარიამ გელაშვილი, Hotsale.ge).

CSRDG ასევე აქტიურად აგრძელებდა საერთაშორისო საქმიანობას, მონაწილეობდა გლობალური პრო ბონო ქსელის ონლაინ აქტივობებში და წლის განმავლობაში დაესწრო სამ გენერალურ ასამბლეას.

CSR-ის მხარდაჭერა ბიზნესებს შორის (CSR სემინარები, მცირე და საშუალო ბიზნესებთან შეხვედრები)

2024 წელს, CSRDG-იმ ორგანიზება გაუწია ტრენინგებსა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებს, რათა დახმარებოდა ბიზნესებს მდგრადობის საკუთარ ოპერაციებში ინტეგრირებაში:

მასტერკლასი „უკეთესი ბიზნესის შექმნა: სტრატეგიიდან სერტიფიცირებამდე“ – 1 ივლისს ჩატარდა, რომელსაც 40 მონაწილე დაესწრო. მასტერკლასს უძღვებოდა ორი საერთაშორისო ექსპერტი შოტლანდიიდან და ნიდერლანდებიდან. თემები მოიცავდა გარემოსდაცვითი მდგრადობის სტრატეგიებსა და B Corp მოძრაობას.

მცირე და საშუალო ბიზნესის ცნობიერების ამაღლების შეხვედრები – მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის შეხვედრაზე გაიცა რეკომენდაციები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებისა და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის შესახებ.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დაინტერესებული მხარეების ფორუმი – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავების ხელშეწყობა

2022 წელს დაარსებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დაინტერესებული მხარეების ფორუმი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკაზე დიალოგის პლატფორმას წარმოადგენს. ფორუმის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა

საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების ეროვნული ჩარჩო, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის რეკომენდაციებს ადგენს. 2024 წლის თებერვალში დოკუმენტის ინგლისური თარგმანი დასრულდა და გამოქვეყნდა CSR Hub-ის ვებგვერდზე.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ვებ პლატფორმა

CSRDG-ის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საინფორმაციო ცენტრი ერთადერთი ონლაინ პლატფორმაა საქართველოში, რომელიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, მდგრადობისა და პასუხისმგებლიანი ბიზნესისადმია მიძღვნილი. ის გთავაზობთ რესურსების, სიახლეებისა და პრაქტიკული მაგალითების ფართო სპექტრს, როგორც საქართველოდან, ასევე საზღვარგარეთიდან.

2024 წელს შეიქმნა 19 ახალი ბლოგი, რომელთაგან 16 გამოქვეყნდა პლატფორმაზე. ბლოგენი მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა Meliora-ს გამარჯვებულების გამოცდილება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აღსანიშნავი პრაქტიკა საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. (დამატებითი ინფორმაციისთვის გადადით **ბმულზე**)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მედია გაშუქების ხელშეწყობა

მარტში, წამყვან ქართულ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის სტუდენტებისთვის ჩატარდა სესია თემაზე „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და მედიის როლი“, რომელსაც 20-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო.

მედია გრანტების პროგრამა: 2023 წელს დაწყებული ეს გრანტი, 2024 წლის დასაწყისში, ოთხ გამარჯვებულ მედია საშუალებას დაეხმარა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თემაზე კონტენტის შექმნაში. გამარჯვებულებს შორის იყო სამი ეროვნული და ერთი რეგიონალური მედია საშუალება. CSRDG-ის გუნდი, პროექტის განხორციელების პროცესში მონიტორინგისა და ხელმძღვანელობის კუთხით იყო ჩართული.

პროგრამის საერთო მიღწევები 2024 წელს

2024 წელს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პროგრამამ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი როლი პასუხისმგებლიანი ბიზნესის განვითარებაში.
პროგრამამ ერთიან სივრცეში მოუყარა თავი ასობით პროფესიონალს, კომპანიასა და ორგანიზაციას, რომლებიც პასუხისმგებლიანი და მდგრადი ბიზნესის განვითარებაზე ერთობლივად ზრუნავენ.

ჯილდოების, ტრენინგების, პრო ბონო ინიციატივების, დაინტერესებული მხარეების ფორუმების, ონლაინ რესურსებისა და მედია პარტნიორობების საშუალებით, CSRDG-მ მნიშვნელოვნად განამტკიცა ქვეყნის CSR ეკოსისტემა. წლის განმავლობაში განხორციელებულმა აქტივობებმა არა მხოლოდ გამოკვეთა და დააჯილდოვა კორპორაციული პასუხისმგებლობის ინოვაციური პრაქტიკები, არამედ შექმნა ბევრად ფართო ღირებულება - ორგანიზაციებს მიაწოდა პრაქტიკული ინსტრუმენტები, ხელი შეუწყო თანამშრომლობასა და ცოდნის გაზიარებას, და გააძლიერა პოლიტიკურ დონეზე დიალოგი პასუხისმგებლიანი ბიზნესის მხარდასაჭერად.

შედეგად, პროგრამის საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის მასშტაბით მდგრადი, კონკურენტუნარიანი და პასუხისმგებლიანი ბიზნესის გრძელვადიან განვითარებას.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა ცენტრის სტრატეგიული პრიორიტეტია 2009 წლიდან

სოციალური მეწარმეების მხარდაჭერით ჩვენ შეგვაქვს წვლილი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევების მდგრადი, სამეწარმეო გზით მოგვარებაში;

ჩვენ ვმუშაობთ სამოქალაქო, კერძო და სახელისუფლებო სექტორებთან კონცეფციის განვითარებისთვის, რადგან გვჯერა რომ სოციალური მეწარმეობა არის ეფექტური ინსტრუმენტი სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიის უზრუნველსაყოფად, და საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ.

პროგრამის მიზანია:

მიზნის მისაღწევად ჩვენ ვმუშაობთ ორი სტრატეგიული მიმართულებით:

- საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერება და ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;
- სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება

2024 წელს განხორციელებული საქმიანობები და მიღწეული შედეგები:

საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერება და ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობისთვის საქმიანობები მოიცავს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მორგებულ მექანიზმებს მოქმედი და დამწყები სოციალური საწარმოებისთვის.

მხარდაჭერის პროგრამაში საწარმოთა შერჩევა კონკურსის წესით ხორციელდება. შერჩეულ საწარმოებთან პროგრამის გუნდი 2-4 წლის მანძილზე მუშაობს.

2024 წელს პროგრამის ფარგლებში ვიმუშავეთ 22 სოციალურ საწარმოსთან, მათგან 16 საწარმო დაფინანსდა 2022-2023 წლებში. 2024 წელს დაფინანსდა 6 სოციალური საწარმო, 3 სტარტაპი (ოდა ქეარი, ბრილი არტი, ლითქიდი) და 3 განვითარების საწარმო (დადარი, დედიკო, ცისარტყელა).

სამიზნე სოციალური საწარმოების შერჩევა

2024 წელს საგრანტო კონკურსი გამოცხადდა ორჯერ:

ახალი საწარმოების შექმნის მხარდაჭერის კონკურსი გამოცხადდა აპრილში.

შერჩევის ციკლი შემდეგია:



კონკურსის შესახებ გამართულ ონლაინ საინფორმაციო შეხვედრებს დაესწრო 143 მონაწილე. შემოვიდა 57 აპლიკაცია, რომელთაგან დამოუკიდებელმა საგრანტო კომისიამ შეარჩია 10 იდეა. შერჩეულმა გუნდებმა გაიარეს ინტენსიური ტრენინგ პროგრამა. კონკურსის ბოლო ეტაპზე მომზადდა 9 სრული ბიზნეს განაცხადი, რომელთაგან 3-მმა მოიპოვა დაფინანსება.

#	საწარმო	პროექტის აღწერა	წელი
	ბრილიარტი	სოციალური საწარმო „ბრილი არტი“ მიზნად ისახავს მთიანი აჭარის რეგიონში, კერძოდ, ჭვანას ხეობაში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას და მაღალმთიანი სოფლებიდან მიგრაციის შემცირებას კერამიკის, როგორც უძველესი ტრადიციული ხელობისა და თანამედროვე ხელოვნების ფორმის პოპულარიზაციის გზით. საწარმო ეწევა საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას, კულტურულ ტურიზმს და ადგილობრივი თიხისგან დამზადებული კერამიკის წარმოებას. სოციალური საწარმო „ბრილი არტი“ კერამიკის სახელოსნოს გახსნას და ადგილობრივი ქალებისა და ახალგაზრდების პროფესიულ მომზადებასა და დასაქმებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, რეგიონში ტურისტების მოზიდვით და მათთვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებით, სოციალური საწარმო	**2024**

		ხელს შეუწყობს კულტურული და სასოფლო-სამეურნეო ტურიზმის განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, მათთვის დამატებითი შემოსავლის გენერირებას, სოფლის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და მიგრაციის შემცირებას.	
	ლიტქიდი	Litkid არის საბავშვო ლიტერატურის ციფრული გზამკვლევი, რომელიც აერთიანებს ბაზარზე არსებული სხვადასხვა გამომცემლობის ყველა საბავშვო წიგნს. ის მშობლებს სთავაზობს რეკომენდაციებს საბავშვო წიგნების შესახებ ბავშვის ასაკის, გემოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე მათი შეძენის გამარტივებულ გზას. პროექტის მიზანია დაეხმაროს მშობლებს ადრეული ასაკიდანვე შეარჩიონ ბავშვებისთვის შესაფერისი ლიტერატურა და დაიწყონ მათთან ერთად კითხვა. გარდა ამისა, Litkid უფასოდ მიაწვდის საბავშვო წიგნებს რეგიონებსა და მთიან სოფლებს, რადგან გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის თანახმად, დღეს საქართველოში ბავშვების 44%-ს არ აქვს წვდომა საბავშვო წიგნებზე.	**2024**
	ოდა ქეარი	„ოდა ქეარის“ მიზანია გურიის რეგიონის ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ხანდაზმულებისთვის შინ მოვლისა და პირადი ასისტენტის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სერვისების შექმნა და დანერგვა. სოციალური საწარმო 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ხანდაზმულ პირებს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად მართონ საკუთარი ცხოვრება, ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღონ მრავალფეროვან სოციალურ და კულტურულ აქტივობებში, გაიუმჯობესონ თვითმოვლის უნარები და მეტი კონტროლი ჰქონდეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე. პირადი ასისტენტისა და სახლში მოვლის სპეციალისტის დახმარებით 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ექნებათ შესაძლებლობა, თავად მართონ საკუთარი ცხოვრება. რაც შეეხება ხანდაზმულებს, სახლში მოვლის სპეციალისტები ჩაატარებენ სამედიცინო მანიპულაციებს, ჰიგიენის პროცედურებს, კვებას, საჭმლის მომზადებას და ტექნიკურ მხარდაჭერას. „ოდა ქეარის“ სერვისები ბენეფიციარებს მისცემს შესაძლებლობას, თავი იგრძნონ დამოუკიდებლად	**2024**

		და იცხოვრონ საკუთარი ცხოვრებით. გარდა ამისა, სერვისები შეამსუბუქებს ყოველდღიურ რუტინას ბენეფიციარების ოჯახის წევრებისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, მეტი დრო დაუთმონ პირად ცხოვრებას, ჰქონდეთ სამსახური და თავი იგრძნონ სრულფასოვნად.	

ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის კონკურსი მოქმედი სოციალური საწარმოების, რომელთა მიზანი შშმ პირთა მხარდაჭერა / დასაქმებაა

2003 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა (CSRDG) და Basisbank - ბაზისბანკის თანამშრომლობას, რომლის მიზანიც საქართველოში მოქმედი ისეთი სოციალური საწარმოების გაძლიერება წარმოადგენს, რომლებიც მიზნად ისახავენ შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას საზოგადოებაში, მათი დასაქმების, განათლების და უნარების გაძლიერების შესაძლებლობების განვითარების გზით.

თანამშრომლობა წარმატებით გაგრძელდა 2024 წელსაც. კონკური შშმ პირთა მხარდამჭერი სოციალური საწარმოებისთვის გამოცხადდა ივნისში. დაინტერესებული პირებისთვის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრას 21 პირი დაესწრო.

CSRDG-სა და „ბაზის ბანკს“ შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული სოციალური საწარმო გახდა „ცისარტყელა“, რომელმაც მიიღო როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური მხარდაჭერა.

სოციალური საწარმო „ცისარტყელა“ 2017 წლიდან ოპერირებს კახეთის რეგიონში და უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების მიწოდებას შშმ ბავშვებისა და მოზარდებისთვის. საწარმო მათ აქტიურად რთავს სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთების—მათ შორის სამკაულებისა და აქსესუარების—წარმოებაში, რითაც ხელს უწყობს მათი ჩართულობისა და გაძლიერების პროცესს როგორც შემოქმედებითი, ისე ეკონომიკური საქმიანობით.

პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგებია:

- **მოეწყო სამუშაო და საგამოფენო სივრცე.** 75 კვ.მ. ფართობის ოთახის გადატიხვრით შექმნილია ხუთი დამოუკიდებელი ზონა: ქსოვის, ჭრა-კერვის, სამკაულებისა და დეკორატიული ნივთების დამზადების, და თიხისა და პოლიმერული თიხის დამუშავების სივრცეები.

- **საწარმო აღჭურვილია** წარმოებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტებითა და მასალებით (თიხის დამუშავების იარაღები, ქსოვილები, ნართი, თიხა, პოლიმერული თიხა, საღებავები და სხვა).

- **ჩატარდა ქსოვის ტრენინგები**. - სასწავლო პროგრამა მოიცავდა დაზგაზე, ქსოვის სწავლებას ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით;

პროექტის ფარგლებში 2025 წელს დაგეგმილია საგამოფენო სივრცეში ბენეფიციართა ნამუშევრების გამოფენის ორგანიზება.

სულ 2024 წლის მანძილზე სოციალურ საწარმოებზე გაცემული საგრანტო თანხამ შეადგინა **421,923** ლარი. სტარტაპებისთვის მხარდაჭერამ შეადგინა **193,709** ლარი ხოლო განვითარების გრანტებმა **245,643** ლარი (მ.შ. **135,643** ლარი აქციოს პორთფელში მყოფი საწარმოებისთვის).

კონსულტაციები და მორგებული ტექნიკური დახმარება

პროგრამის ფარგლებში სოციალურ საწარმოებს ვაწვდით მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ დახმარებას.

დაინტერესებულ სოციალურ მეწარმეებს შევთავაზეთ ტრენინგები: შესავალი სოცმეწარმეობაში, სოციალური შედეგების დაგეგმვა და მართვა, მარკეტინგი, ფინანსების მართვა და სხვა.

სოციალური საწარმოებისთვის გაცემული კონსულტაციები კი მრავალფეროვნ თემატიკას მოიცავდა და მორგეული იყო თითოეული საწარმოს საჭიროებაზე: ბიზნეს გეგმის დახვეწა, აღრიცხვიანობა და ფინანსების მართვა; ფეისბუქის გვერდის მართვა, კომუნიკაციების სტრატეგია, პროდუქტის განვითარება და დიზაინი, კაფეს მენიუს შემუშავება, საწარმოს ცვლილების თეორიის განვითარება, დოკუმენტაციის მართვა, B2B პარტნიორობის სტრატეგია და სხვ.

სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება

სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესებისთვის საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარებს:

სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში

ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციის მიზნით, 2023-2024 წლის კონკურსი განახლებული ფორმატით ჩატარდა. კონკურსის პირველი ეტაპი 2023 წელს განხორციელდა, რად მოიცავდა: განაცხადების მიღებას სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდა ელჩების შესარჩევად, საინფორმაციო სემინარებს და საზაფხულო სკოლას, რომელშიც 25-მა ახხალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა; საპროექტო განაცხადების მომზადებას და განხილვას, რომელთაგან საუკეთესო 6 პროექტი დაფინანსდა. სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდა ელჩებმა 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით საკუთარი პროექტები განახორციელეს შემდეგ რეგიონებში: გურია, კახეთი, სვანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი.

კონკურსის შედეგების შეჯამება და ფინალური ღონისძიება 2024 წლის 24 თებერვალს გაიმართა.

საქართველოს პრეზიდენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია პროექტის მეორე წელსაც აქტიური მხარდამჭერები იყვნენ, ხოლო საუკეთესო ახალგაზრდა ელჩის გამოვლენის ღონისძიება კვლავ ორბელიანის სასახლეში ჩატარდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, ევროკავშირის ელჩი, შვედეთის სამეფოს ელჩი საქართველოში, ლატვიის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში და 100-ზე მეტი მოწვეული სტუმარი. ღონისძიებას აქტიურად უჭერდნენ მხარს ბიზნესის წარმომადგენლები და სოციალური საწარმოები, ხოლო პროექტის მონაწილეებისთვის დაჯილდოებები განისაზღვრა. შეირჩა სოციალური

მეწარმეობის საუკეთესო ახალგაზრდა ელჩი, რომელიც გახდა ირაკლი თევზაძე იმერეთიდან (ქუთაისი).

ჩემი მიზანია, რომ ჩემს გარშემო მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ განათლების, გართობის , დასვენებისა და თავისუფალი დროის ორგანიზების მეტი შესაძლებლობა. " - ირაკლი ელჩი იმერეთში.

გავლენის ფონდი აქციო

გავლენის ფონდი „აქციო“ 2022 წელს დაფუძნდა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) მიერ. „აქციო“ ფუნქციონირებს CSRDG-ის ქოლგის ქვეშ და არ წარმოადგენს ცალკე მდგომ იურიდიულ პირს. ოპერირების ამგვარი მოდელი „აქციოს“ შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს CSRDG-ის მიერ დაგროვებული ისეთი რესურსი, როგორიცაა ნდობა საზოგადოებასა და პარტნიორებს შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტები, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსი.

„აქციო“ დაფუძნდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის“ ფინანსური და ტექნიკური ხელშეწყობის შედეგად. მის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პროექტის წამყვან განმახორციელებელ ორგანიზაციას „Impact Europe“, რომელიც მნიშვნელოვან ძალისხმევას სწევს აღმოსავლეთ ევროპაში სოციალური გავლენის მქონე ინვესტირების ეკოსისტემის განვითარებისათვის.

„აქციოს“ მიზანია შექმნას ხელშესახები, დადებითი სოციალური გავლენა სოციალურ საწარმოებთან, გავლენის ინვესტორებთან და პარტნიორებთან ერთად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მოწყვლადი ჯგუფების შრომითი ინტეგრაცია და განათლება, გარემოს დაცვა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

„აქციოს” ამბიციური გეგმაა, 2023-2027 წლებში მდგრადი ბიზნეს მოდელის მქონე, სულ მცირე, 10 სოციალური საწარმოს გაძლიერება, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის თვალსაზრისით.

აქციოს ინვესტორები

სოციალური საწარმოების ფინანსური და ტექნიკური დახმარების შესაძლებლობას „აქციოს” ევროკავშირის დაფინანსება და ინვესტორების ფინანსური წვლილი აძლევს.

სოციალური საწარმოების დაფინანსებისთვის მობილიზებულია შემდეგი ფინანსურის რესურსი:

ევროკავშირი	გავლენის ინვესტორები	გავლენის პარტნიორები	გავლენის მხარდამჭერები
300,000 ევრო	108,000 ევრო	9000 ევრო	1800 ევრო

ევროკავშირთან ერთად „აქციოს“ ინვესტორები არიან:

გავლენის ინვესტორები	გავლენის პარტნიორები	გავლენის მხარდამჭერები
მიკრობანკი “ემბისი”	ვლადიმერ საყვარელიძე	ქეთევან ჭითანავა
ნიკოლოზ ალავიძე		მაია წერეთელი
Magic Foundation		

მიმდინარე მდგომარეობით, „აქციოს“ მობილიზებული აქვს 7 სოციალური საწარმოს დაფინანსებისთვის საჭირო თანხა. 2023-2027 წლებში დასახული მიზნების მისაღწევად, სულ მცირე, 10 სოციალური საწარმოს მხარდასაჭერად, „აქციოს“ ჯამურად ესაჭიროება 600,000 ევრო. გავლენის ფონდის ბიუჯეტი მოიცავს სოციალური საწარმოების დაფინანსების, ტექნიკური დახმარებისა და ადმინისტრირების ხარჯებს. საანგარიშო პერიოდში, უკვე, მობილიზებულია 418,800 ევრო, ხოლო დარჩენილი თანხის მობილიზებისთვის „აქციო“ აქტიურად აგრძელებს ინვესტორებთან კომუნიკაციას.

ამჟამად გავლენის ფონდ „აქციოს“ პორტფელი 6 სოციალურ საწარმოს მოიცავს, ესენია: ბაბალე, ისტორიალი, ტენე, ჩემპი, დადარი და დედიკო. მათი შერჩევა ორ ეტაპად განხორციელდა. თითოეული მათგანის შერჩევასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება საინვესტიციო კომისიამ მიიღო.

ბაბალე

სოციალური საწარმო „ბაბალე“ 2015 წელს შეიქმნა. „ბაბალეს” მისიაა დაუნის სინდრომის მქონე (დსმ) პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების გზით.

სოციალურ საწარმოში მზადდება ხის, კერამიკისა და ტექსტილის როგორც დეკორატიული, ისე გამოყენებითი ნივთები. მასობრივი წარმოების პროდუქციიდან გამორჩეულია ბაბალეს წინდები და სამზარეულოს აქსესუარები.

“აქციოსთან” თანამშრომლობამდე “ბაბალეს” შექმნილი ჰქონდა მდგრადი ბიზნეს მოდელი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა წარმოების პროცესში ჩაერთო დაუნის სინდრომის მქონე პირები და ამასთანავე, მიღებული შემოსავლით პერიოდულად დაეფინანსებინა დსმ პირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამები.

მიღწეული სტაბილური სოციალური და ეკონომიკური შედეგებიდან გამომდინარე, „ბაბალეს“ დამფუძნებლები მიიჩნევდნენ, რომ საწარმოს აქვს მასშტაბის ზრდის პოტენციალი, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური შედეგების თვალსაზრისით. კერამიკისა და ტექსტილის წარმოების პროცესში „ბაბალე“ იყენებდა პარტნიორი კომპანიების მიერ დამზადებულ მზა მასალას (მაგ. კერამიკის ნივთები, ნაჭრის ჩანთები), რომელიც საწარმოში იხატებოდა და იფუთებოდა. „აქციოსთან“ თანამშრომლობამ კი „ბაბალეს“ სრულიად ახალი პროდუქციისა და წარმოების ადგილზე განვითარების შესაძლებლობა მისცა. საწარმოს გაფართოების შედეგად „ბაბალემ“ მოიცვა უფრო მეტი დაუნის სინდრომის მქონე

ახალგაზრდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი: 1-ელი მაისი, 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა:

გრანტი: 49,915.42 ევრო

სესხი: 9,791 ევრო

აქციოს ფინანსური მხარდაჭერით „ბაბალემ“ გააფართოვა საქმიანობის მასშტაბი, გააუმჯობესა საწარმოს მართვის პროცესები, გაამრავალფეროვნა არსებული პროდუქტი და განავითარა სრულიად ახალი პროდუქცია და მომსახურება. შედეგად, „ბაბალეს“ შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა, რაც თავის მხრივ, აისახა მზარდ დადებით სოციალურ გავლენაში.

მიღწევები და პროგრესი

2024 წელს „ბაბალემ“ სტაბილური ზრდა აჩვენა როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური შედეგების თვალსაზრისით. იანვარში „ბაბალემ“ დაიწყო გაზაფხულისა და აღდგომის კოლექციის მომზადება. კორპორაციულ სექტორთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, საწარმომ მიიღო სააღდგომო კერამიკული დეკორაციების 10-მდე დიდი კორპორაციული შეკვეთა.

„ბაბალეს“ წინდებზე ინტერესი ტრადიციულად მარტში იზრდება, რაც დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს, 21 მარტს, უკავშირდება. 2024 წლის მარტისთვის „ბაბალემ“ წარადგინა ახალი კოლექცია, რომელიც შეიქმნა ცნობილი ქართველი მხატვრებისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ერთობლივი ნამუშევრების მიხედვით.

2024 წელს „ბაბალემ“ დააფუძნა სპეციალური სამკერვალო და ტექსტილის სახელოსნო, რომელიც მოიცავს ქსოვილზე ბეჭდვის ზონასაც. სამკერვალოს სრულყოფილად ამუშავებისთვის მოწვეულმა პროფესიონალმა კონსტრუირების სპეციალისტმა ბაბალეს ორი თანამშრომელი გადაამზადა. მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნო სრულადაა აღჭურვილი, საქმიანობა ჯერ არ დაწყებულა კერამიკის წარმოებაზე მაღალი მოთხოვნის გამო. ამჟამად კერამიკის სახელოსნო სრული დატვირთვით მუშაობს, რაც აისახება როგორც პროდუქციის გაყიდვებზე, ისე კერამიკის მასტერკლასების მიმართ მზარდ მოთხოვნაზე. საანგარიშო პერიოდში „ბაბალემ“ ჩაატარა 93 კერამიკის მასტერკლასი, რომლებში მონაწილეობა 1,940-მა ბავშვმა მიიღო.

რაც შეეხება სოციალური საწარმოს საქმიანობის სოციალურ შედეგებს, აღსანიშნავია, რომ „ბაბალემ“ დაასრულა ოთხსაფეხურიანი “პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის” პროგრამა. წლის დასაწყისში პროგრამაში მონაწილეობდა დაუნის სინდრომის მქონე 24 მოზარდი და ახალგაზრდა, წლის ბოლოსთვის კი 6-მა მათგანმა პროგრამა დაასრულა. ამჟამად 18 ბენეფიციარი ჩართულია პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე:

შემოქმედებითი ეტაპი – 4 ბენეფიციარი

პროფესიული ორიენტაციის ეტაპი – 8 ბენეფიციარი

სტაჟირების ეტაპი – 4 ბენეფიციარი

მხარდაჭერითი დასაქმების ეტაპი – 2 ბენეფიციარი

პროგრამის ხუთი კურსდამთავრებული უკვე მუშაობს „ბაბალეს“ კერამიკის სახელოსნოში. ორი სტაჟიორი კონტრაქტების გაფორმების პროცესშია სასტუმრო ჰილტონთან. მთლიანობაში, „ბაბალეს“ კერამიკის სახელოსნოში სრულ განაკვეთზე დასაქმებულია 10 თანამშრომელი, მათ შორის 5 ახალგაზრდა დაუნის სინდრომის მქონეა. საახალწლო კოლექციის დროულად დასამზადებლად, “ბაბალემ” დამატებით 7 თანამშრომელი დაიქირავა.

დამატებითი მიღწევები:

- 9 ბენეფიციარი გაეცნო 9 სხვადასხვა პროფესია.
- 6-მა ბენეფიციარმა პრაქტიკაში გამოსცადა ახალი პროფესია
- 2-მა ბენეფიციარმა პროფესიულ კოლეჯში დაიწყო სწავლა
- 2-მა ბენეფიციარმა პარტნიორ კომპანიებში გაიარა სტაჟირება.
- 1 ბენეფიციარი „სხვა კომპანიაში დასაქმდა.

ტექნიკური დახმარება:

CSRDG-ის მხარდაჭერით საკომუნიკაციო კომპანიამ “ანაგრამამ” „ბაბალესთვის“ შეიმუშავა ყოვლისმომცველი საკომუნიკაციო გეგმა.

ეკონომიკური შედეგები:

2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, “ბაბალეს” შემოსავალი 20%-ით, 368,000 ლარიდან 440,000 ლარამდე გაიზრდა. შემოსავლის 55% მხოლოდ კერამიკული პროდუქციის გაყიდვიდან გენერირდა.

ისტორიალი

სოციალური საწარმო „ისტორიალი“ 2000 წელს დაფუძნდა. საწარმოს მისიაა ქართული კულტურის მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის სექტორის ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. „ისტორიალი“ სამკაულის, დეკორატიული და სასაჩუქრე პროდუქციის შექმნით, საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას აცნობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ადამიანებს.

„აქციოსთან“ თანამშრომლობამდე „ისტორიალი“ პროდუქციის ძირითად ნაწილს სხვადასხვა პარტნიორ ოსტატთან, აუთსორსზე აწარმოებდა. ამ მოდელით მუშაობა საწარმოს არ აძლევდა წარმადობის გაზრდის და ამასთან ერთად, ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობას. მიუხედავად არსებული პოტენციალისა და ბაზარზე მოთხოვნისა, სახელოსნო წარმოების გაზრდის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამასთანავე, „ისტორიალი“ ხედავდა სოციალური შედეგების გაზრდისა და გამრავალფეროვნების პოტენციალს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან ერთად, საწარმომ მიზნად დაისახა ლითონმქანდაკებლობის, როგორც უძველესი პროფესიის პოპულარიზაცია, შესატყვისი პრაქტიკის და საგანმანათლებლო მასტერკლასების შეთავაზებით.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი: 27 აპრილი, 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

გრანტი: 39,817.53 ევრო

სესხი: 10,000 ევრო

„აქციოს“ მხარდაჭერით, „ისტორიალმა“ მოაწყო საიუველირო სახელოსნო. განახლებული სახელოსნო ისტორიალს შესაძლებლობას აძლევს, გაზარდოს ლითონის ნაკეთობების ადგილზე წარმოება, ხელი შეუწყოს ლითონზე მომუშავე ოსტატების პროფესიულ განათლებას და ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

მიღწევები და პროგრესი:

„აქციოსთან“ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, 2023 წელს, „ისტორიალმა“ განაახლა და აღჭურვა სახელოსნო, ასევე შეიმუშავა ორი ახალი კოლექცია — „თბილისის ხაზი“ და „მამაკაცის ხაზი“. 2024 წელს საწარმომ აქტიურად დაიწყო განახლებული სივრცის გამოყენება და გააფართოვა საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობა.

2024 წელს „ისტორიალმა“ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის დაიწყო პრაქტიკის კურსის განხორციელება. პროგრამა უკვე გაიარა ხუთმა სტუდენტმა. გარდა ამისა, ხუთმა სტუდენტმა და ორმა პედაგოგმა მონაწილეობა მიიღო ორდღიან სამუშაო შეხვედრაში, რომელსაც მოწვეული ოსტატი სერჟან ბაშიროვი უძღვებოდა. ამასთანავე, ოქტომბერში, „ეთნოფესტის“ ფარგლებში, ჩატარებულ მასტერკლასსა და თანმდევ ინდივიდუალურ კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 8 ოსტატმა.

საგანმანათლებლო კომპონენტის გასაძლიერებლად, „ისტორიალმა“ დამატებით შეიმუშავა მოკლე და გრძელვადიანი მასტერკლასების პროგრამა. პროგრამის პილოტირება „მხატვრული რეწვის კვირეულის“ ფარგლებში განხორციელდა და მოიცავდა ორ უფასო მასტერკლასს მსურველებისათვის. ამ გამოცდილების საფუძველზე, საწარმო გეგმავს ფასიანი მასტერკლასების შეთავაზებას როგორც ადგილობრივებისთვის, ისე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ, მეტი ინფორმაცია მიიღონ ლითონის დამუშავებისა და საიუვილერო ნაკეთობების შექმნის ქართული ტრადიციებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

წლის მეორე ნახევარში „ისტორიალმა“ შექმნა ორი ახალი პროდუქტი: ბროში „ნიკე“ (გამარჯვების ქალღმერთი) და სვანური ნესგუნის ჯვარი. „აქციოს“ მხარდაჭერით შემუშავებული ბრენდბუქის საფუძველზე, საწარმომ განაახლა კატალოგი და დაიწყო ბრენდინგის ეტაპობრივი გაუმჯობესება, მათ შორის ლოგოს, ფერთა პალიტრისა და შეფუთვის განახლება.

2024 წელს „ისტორიალმა“ გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა. „აქციოსთან“ თანამშრომლობამდე საწარმოში მუშაობდა 2 ოსტატი, ხოლო 3 აუთსორსზე საქმიანობდა. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დასაქმებულ ოსტატთა რაოდენობა გაიზარდა 4-მდე, ხოლო აუთსორსზე მომუშავეთა რაოდენობა — 9-მდე.

ტექნიკური დახმარება

„აქციოს“ მხარდაჭერის ფარგლებში, საკონსულტაციო კომპანია „სამკუთხედის“ მხარდაჭრით, შემუშავდა „ისტორიალის“ ბრენდბუქი, ასევე, საკომუნიკაციო და მარკეტინგული გეგმა.

ეკონომიკური შედეგები

2024 წელს „ისტორიალის“ შემოსავალმა 133,025 ლარი შეადგინა, რაც მცირედით ნაკლებია 2023 წლის მაჩვენებელზე (143,597 ლარი). შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში მიმდინარე სიტუაციისა და სახელოსნოს განახლების პერიოდში წარმოების დროებით შეჩერების გათვალისწინებით, შემოსავლები სტაბილურ დონეზეა შენარჩუნებული.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს „ისტორიალმა“ განაახლა ექსპორტის შესაძლებლობების ძიება. 2024 წლის ივნისში, საერთაშორისო ექსპორტიორ ანა სინკლერთან თანამშრომლობით, საწარმომ აშშ-ში 1,130.45 ევროს ღირებულების საცდელი პარტია გაგზავნა. „ისტორიალი“ აგრძელებს მოლაპარაკებებს და მეორე შეკვეთას 2025 წლის თებერვალში, პირველი პარტიის ამოწურვის შემდეგ ელის.

ტენე

„ტენე“ 2021 წელს დაფუძნდა და მიზნად გარემოს პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დაისახა. „ტენე“ პირველი, ქართული, USB კაბელის ეკომეგობრული საწარმოა, რომელიც წარმოების პროცესში, ერთჯერადი მოხმარების მეორად პლასტმასას იყენებს. USB კაბელების წარმოებასთან ერთად, „ტენე“ მუდმივად მუშაობს გარემოს დაცვის ხელშემწყობი ინოვაციური პროდუქტების განვითარებაზე, როგორიცაა ჭიქების კოლექტორი, ბოთლის უკუვენდინგ აპარატი და ა.შ.

წარმოების პროცესში “ტენე” პლასტმასას ბოთლების თავსახურებს იყენებს, დანარჩენ ნედლეულს კი პარტნიორ ქარხანაში აბარებს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არ არის დანერგილი პლასტმასას სეპარირების, შეგროვებისა და გადამუშავების ერთიანი სახელმწიფო სისტემა, „ტენეს“ როლი გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებაში განსაკუთრებით მაღალია.

გარემოსდაცვით შედეგებთან ერთად, „ტენე“ ხელს უწყობს მოწყვლადი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. „ტენეს“ ქარხანა მდებარეობს წეროვნის დევნილთა დასახლებაში და ასაქმებს რუსეთ-

საქართველოს 2008 წლის ომით დაზარალებული, იძულებით გადაადგილებული პირებს.

გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით ჩატარებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების შედეგად, პლასტმასას ჩაბარებაზე მოთხოვნა გაჩნდა არამარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც, თუმცა, „ტენეს“ თბილისიდან მოშორებით, პლასტმასას შეგროვების რესურსი არ გააჩნდა. „აქციოსა“ და „ტენეს“ პარტნიორობის მთავარ მიზნად, სწორედ, პლასტმასას შეგროვების მასშტაბის ზრდა და შეგროვების მდგრადი სქემების განვითარება ჩამოყალიბდა.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი: 28 სექტემბერი, 2023 წ.

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

გრანტი: 40,000 ევრო

სესხი: 9,990 ევრო

„აქციოს“ მხარდაჭერით, „ტენემ“ გააფართოვა პლასტმასას შეგროვების არეალი და გაზრდა ნარჩენის შეგროვებისა და გადამუშავების რაოდენობა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო USB კაბელებისა და სხვა ახალი პროდუქტების წარმოების ზრდას. ამასთანავე, „ტენე“ აქტიურად მუშაობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე. ონლაინ და პირისპირ ჩატარებული კამპანიებითა და ღონისძიებებით, საწარმო საზოგადოებას აწოდებს ინფორმაციას ნარჩენების მართვისა და დედამიწისთვის მიყენებული ზიანის შემცირების აუცილებლობის შესახებ.

მიღწევები და პროგრესი

2024 წელს, „აქციოს“ მხარდაჭერით, „ტენემ“ შეიძინა საბარგულიანი ავტომობილი, 3D პრინტერი და 6 პრესის აპარატი. ასევე იგეგმება მიკროავტობუსის შეძენა, რაც მნიშვნელოვნად გააფართოებს პლასტმასას ნარჩენების შეგროვების არეალს საქართველოს მასშტაბით. შეძენილი დანადგარები „ტენეს“ მისცემს შესაძლებლობას, მოაწყოს ჩაბარების პუნქტები ქვეყნის მასშტაბით, სადაც შეგროვებული პლასტმასა ეფექტიანად დაიპრესება და შემდგომ გადაინაცვლებს „ტენეს“ საწარმოში ან პარტნიორ გადამამუშავებელ ქარხანაში. ამჟამად, ორი პრესის აპარატი უკვე დამონტაჟებულია თბილისსა და წეროვანში, ხოლო დანარჩენი ოთხის განთავსება იგეგმება სხვა ქალაქებში.

2024 წლის იანვრიდან „ტენემ“ პლასტმასას შეგროვებისა და გადამუშავების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა:

2,000-დან 5,300 - მდე გაიზარდა ადამიანების რაოდენობა, რომლებიც აგროვებენ და აბარებენ პლასტმასას;

200-დან 350-მდე გაიზარდა სკოლებსა და ორგანიზაციებში განთავსებული მწვანე ყუთების რაოდენობა, რომელთა საშუალებითაც აღნიშნული დაწესებულებები აგროვებენ პლასტმასას;

ჩატარდა 25 საინფორმაციო კამპანია და ღონისძიება, რომლებშიც 600-ზე მეტი სკოლის მოსწავლე და ზრდასრული მონაწილეობდა.

10,000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო ინფორმაცია გარემოსდაცვით საკითხებზე ონლაინ ფორმატში.

ყოველთვიურად შეგროვებული პლასტმასას რაოდენობა გაიზარდა 2-ჯერ, 4-დან 8 ტონამდე;

სულ შეგროვდა 55.6 ტონა პლასტმასა.

„ტენეს“ ქარხანაში გადამუშავდა 1,435 კგ პლასტმასა, ხოლო პარტნიორ ქარხანაში - 15.6 ტონა.

2024 წელს „ტენემ“მოლაპარაკებები დაიწყო საერთაშორისო „ქლინტექ“ კომპანია „სპარკლოსთან“, რომელიც ცნობილია ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი ბოთლის უკუვენდინგ ავტომატებით — „სპარკლომატებით“. პარტნიორობის ფარგლებში, „ტენე“ „სპარკლოს“ პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, ხოლო „სპარკლო“ უზრუნველყოფს „ტენეს“ საქმიანობის მხარდაჭერას პლასტმასას შეგროვებისა და ტრანსპორტირების მიმართულებით.

ეკონომიკური შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წელს საქართველოში პლასტმასას ბაზარზე გარკვეულმა გამოწვევებმა იჩინა თავი და პლასტმასას ჩაბარების ფასი შემცირდა, 2023 წელთან შედარებით, „ტენემ“ შემოსავლის მნიშვნელოვანი, 28.6%-იანი, ზრდა აჩვენა (2023 წელი - 659,223 ლარი; 2024 წელი - 848,069 ლარი).

ჩემპი

„ჩემპი“ 2016 წელს დაფუძნდა. საწარმო ზრუნავს გორის რაიონში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებაზე ინოვაციური ჯანსაღი სასუსნავების, ვაშლის ჩიფსების წარმოების გზით. „ჩემპი“ ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სოფელ დიცში და მიმდებარედ მცხოვრები ქალების დასაქმებას, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვით, ფერმერული მეურნეობების განვითარებას. ამასთანავე, საწარმო აქტიურად მუშაობს უნარჩენო წარმოების განვითარების მიმართულებით, რომლის მაგალითს „ჩემპის“ გამორჩეული პროდუქტი „ცმაცი“ წარმოადგენს.

„ჩემპი“ არის სოციალური საწარმო, რომელსაც შემუშავებული აქვს ვაშლის შრობის უნიკალური მეთოდოლოგია, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღი და ხრაშუნა ჩიფსისა და ტყლაპის მსგავსი პროდუქტის, „ცმაცის“ წარმოებას.

„ჩემპი“ ასაქმებს სოფელ დიცში მცხოვრებ ქალებს და თანამშრომლობს დიცსა და მიმდებარედ მცხოვრებ ფერმერებთან. საწარმოს ფუნქციონირება ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას და დიცისა და მიმდებარე სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შემცირებას.

დაფუძნების დღიდან „ჩემპის“ წარმოებისა და გაყიდვების მაჩვენებელი იზრდებოდა, თუმცა, ბოლო წლებში, საწარმოს წარმადობა ვეღარ აკმაყოფილებდა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვნას. წარმადობის ზრდა „ჩემპის“ განვითარების, ეკონომიკური და სოციალური შედეგების ზრდის წინაპირობად გამოიკვეთა.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი: 2 ნოემბერი, 2023 წ.

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

გრანტი: 40,000 ევრო

სესხი: 10,000 ევრო

„აქციოს“ ფინანსური მხარდაჭერით, „ჩემპიმ“ გადააიარაღა საწარმო და გაზარდა წარმადობა, რაც მის შემოსავლებსა და სოციალურ შედეგებზე საგრძნობლად აისახა.

მიღწევები და პროგრესი

2024 წელს „ჩემპიმ“ შეიძინა, ააწყო და აამოქმედა ახალი საწარმოო დანადგარები, რომელთა მონტაჟი ივნისში დასრულდა. წარმოების ზრდასთან ერთად, საწარმო ეტაპობრივად გეგმავს ქალებისთვის დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას და პარტნიორ ფერმერებთან თანამშრომლობის გაძლიერებას.

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის პირველი ნახევარი ძირითადად დანადგარების მონტაჟს დაეთმო, „ჩემპიმ“ მოახერხა გაყიდვების ქსელის გაფართოება და შევიდა ახალ ობიექტებში, მათ შორის „სკა ჯუს ბარში“, „ტერმინალში“, „გალფ სთორსა“ და ოთხ კერძო სკოლაში. გარდა ამისა, „ჩემპიმ“კონსულტაცია გაუწია 9 ფერმერს მალფუჭებადი ნედლეულის მართვისა და გადამუშავების შესახებ. გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად კი გადაამუშავა 7 ტონა ვაშლის ნარჩენი.

წარმოების ზრდასთან ერთად, „ჩემპი“ მიზნად ისახავს საექსპორტო ბაზრების მეტად ათვისებას. 2024 წელს საწარმომ აშშ-სა და კანადაში გაგზავნა ჩიფსების მსხვილი პარტია. ასევე,

ამ მიზნის მხარდასაჭერად საწარმო მონაწილეობდა ორ საერთაშორისო გამოფენაში — „Green Week 2024“-ში ბერლინში და „Amsterdam Private Label Trade Show 2024“-ში. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები 6 საერთაშორისო კომპანიასთან.

ტექნიკური დახმარება

„ჩემპის“ მოთხოვნის საფუძველზე, მოწვეული ექსპერტი საწარმოს დაეხმარა აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების ფედერალური ადმინისტრაციის (FDA) პორტალზე რეგისტრაციაში. FDA რეგისტრაცია ზრდის „ჩემპის“ სანდოობას აშშ-ის ბაზარზე და ქმნის ფართო შესაძლებლობებს სხვადასხვა დისტრიბუტორთან თანამშრომლობისთვის.

გარდა ამისა, „აქციო“ „ჩემპის“ დაეხმარა პეოდუქციის შეფუთვის დიზაინის გაუმჯობესებასა და სარეკლამო მასალების მომზადებაში.

ეკონომიკური შედეგები

2024 წლის მეორე ნახევარი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა „ჩემპისთვის“. საწარმოს გადაიარაღების შემდეგ, შემოსავალი 151,911 ლარიდან (2023) 176,177 ლარამდე (2024) გაიზარდა, რაც 16%-იან ზრდას წარმოადგენს.

2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში აქციოს პორფელს ორი ახალი სოციალური საწარმო შემოუერთდა. იქიდან გამომდინარე, რომ მათ ფინანსური მხარდაჭერა წლის ბოლოს მიიღეს, მიღწევებზე საუბარი ჯერ ადრეა. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ასახავს საწარმოს გეგმებს, რომელთა განხორციელება თითოეულმა მათგანმა აქციოსთან თანამშრომლობის ფარგლებში დაისახა მიზნად.

დადარი

სოციალური საწარმო "დადარი" 2018 წელს შეიქმნა. „დადარი" ზრუნავს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და იძულებით გადაადგილებული პირების პროფესიულ განვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე. „დადარი" ამზადებს ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, ხის ხელნაკეთ სათამაშოებს, რომელთაც სიხარული მოაქვს, როგორც პატარებისთვის, ისე ზრდასრულებისთვის.

„დადარის" საწარმოები მდებარეობს თბილისსა და ზუგდიდში, ხოლო შექმნილი სათამაშოები იყიდება როგორც საქართველოს, ისე ევროპის ბაზარზე. ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოების მიმართ მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დადარს ესაჭიროებოდა საწარმოს გადაიარაღება და გაყიდვების ახალი არხების ათვისება. ამასთანავე, სოციალურ საწარმოს ჰყავს გადამზადებული ადამიანები, რომელთა დასაქმება, საქმიანობის გაფართოების გარეშე არ იყო შესაძლებელი. "აქციოსა" და "დადარის" პარტნიორობა სწორედ ამ მიზნების გარშემო დაიწყო და მოიცავს როგორც ბიზნესის განვითარებას, ისე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების ეკონომიკურ გაძლიერებას.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი: 8 ნოემბერი, 2024 წ.

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

გრანტი: 37,492 ევრო

სესხი: 4,731 ევრო

„აქციოს" ინვესტიცია „დადარს" ეკონომიკური საქმიანობისა და სოციალური გავლენის მასშტაბების ზრდის შესაძლებლობას მისცემს. ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში „დადარი" დაეხმარება სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებს პროფესიული და სოციალური უნარების განვითარებასა და სტაბილური დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების შექმნაში.

დედიკო

სოციალური საწარმო „დედიკო" 2021 წელს დაფუძნდა ფონდ „კონსტანტანტას" მიერ. "დედიკო" მარტოხელა დედებს და მშობლებზე მზრუნველ ქალებს ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას სთავაზობს დასაქმების, ახალი პროფესიის დაუფლებისა და პიროვნული განვითარების გზით.

"დედიკოს" შექმნის იდეა კოვიდ-19 პანდემიის დაწყების შემდეგ გაჩნდა, როდესაც პანდემიის შედეგად გამოწვეული კრიზისი საზოგადოების თითქმის ყველა ფენას

შეეხო, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველ ჯგუფებს. ამ კრიზისმა ორმაგად იმოქმედა მარტოხელა დედებზე, რადგან პრობლემებთან გამკლავება მეტწილად მარტო უწევდათ. "დედიკომ" მარტოხელა დედებს ახალი პროფესიის შეძენასა და დასაქმებასთან ერთად, საჭიროებებზე მორგებული სამუშო გრაფიკი და გარემო შესათავაზა. 2024 წელს "დედიკომ" გააფართოვა მიზნობრივი ჯგუფი და დაიწყო შუა ხნის ქალებზე ზრუნვა, რომლებიც ასაკოვან ან შრომისუუნარო მშობლებს უვლიან. მათ დასაქმების და შესაბამისად, შემოსავლის მიღების ძალიან მწირი არჩევანი აქვთ, მატერიალური და ფსიქოლოგიური ტვირთი კი ძალიან დიდი.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი: 12 დეკემბერი, 2024 წ.

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

გრანტი: 31,600 ევრო

სესხი: 10,000 ევრო

იმისათვის, რომ „დედიკომ" უფრო მეტი ქალის დასაქმებასა და გაძლიერებას შეუწყოს ხელი, საწარმოს ესაჭიროებოდა პროდუქციის განვითარება და წარმადობის გაზრდა, გაყიდვების არხების გამრავალფეროვნება და აქტიური მარკეტინგული კამპანიის წარმოება. „აქციოსა" და „დედიკოს" პარტნიორობა სწორედ ამ მიზნების გარშემო დაიწყო.

„დედიკოს" გეგმები: შეიქმნება და ამოქმედდება სულ მცირე შვიდი ახალი პროდუქტი; 2028 წლის ბოლომდე საწარმო დაასაქმებს 25 ქალს.

პროექტი: უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი „უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის" 2024 წლის 31 იანვარს დასრულდა. პროექტი მიზნად ისახავდა ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და შენარჩუნებას გურიის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

პროექტის ძირითად ამოცანებს ამოცანებს წარმოადგენდა:

დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნა სამუშაოს მაძიებლებისთვის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი უნარების განვითარებისა და დამსაქმებლისა და პოტენციური დასაქმებულის ერთმანეთთან დაკავშირების მექანიზმებით;

სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში მოსწავლე-ახალგაზრდების სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვა დასაქმების არსებული შესაძლებლობების ეფექტიანად გამოსაყენებლად ქვემო ქართლის, კახეთისა და გურიის რეგიონში

პროექტი განხორციელდა საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის (CSRDG) ლიდერობით, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირსა (YPU) და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასთან ერთად (GCDA). პროექტის პარტნიორი რეგიონული ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ:

კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი; ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი; თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი.

პროექტის ხანგრძლივობა - 11.10.2020 – 31.01.2024

ბიუჯეტი - 925,255 ევრო

დონორი ორგანიზაცია - ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ძირითადი შედეგები

პროექტის ფარგლებში, სამიზნე რეგიონებში ჩატარებული **დასაქმების ბაზრის კვლევასა** და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებას დაეფუძნა მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული სერვისები.

3 რეგიონის 6 ქალაქში, კერძოდ, გურიაში - ოზურგეთსა და ჩოხატაურში, ქვემო ქართლში - ბოლნისსა და თეთრიწყაროში, კახეთში - თელავსა და ლაგოდეხში გაიხსნა **სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები (LESC)**. ცენტრების ბაზაზე გადამზადდა კარიერული სერვისების მართვის კონსულტანტების გუნდი, შემუშავდა მიზნობრივი სასწავლო პროგრამები, ტრენინგები და სემინარები. შეიქმნა სექტორთაშორისი პარტნიორთა ქსელი და რესურსები, დაინერგა ინოვაციური და ინკლუზიური დასაქმების შესაძლებლობები. ცენტრების მხარდაჭერით, დასაქმდა 301 ადგილობრივი მაცხოვრებელი და 1628 სამუშაოს მაძიებელს გაეწია მათთვის საჭირო კომპლექსური მომსახურება - სწავლება, გადამზადება, გადამისამართება, დასაქმებისთვის საჭირო სხვა უნარ-ჩვევების შეძენა.

პროექტის ფარგლებში დაფინანსდა **შრომითი ინტეგრაციის მიზნის მქონე 6 სოციალური საწარმო (WISE)**: თანავე - ფშაველში; ორბის ბუდე - სამშვილდეში; ლურჯი ალავერდი - ალავერდში; რედო - ოზურგეთში, პროფესიო - რუსთავში; ტექგოგო - მარნეულში. მხარდაჭერილი საწარმოები ბიზნეს მიდგომებით, თემში არსებულ სხვადასხვა საზოგადოებრივ გამოწვევას პასუხობენ და ნაკლებად კონკურენტუნარიანი 32 ადამიანის დასაქმებით, შრომის ბაზარზე მათ ინტეგრაციაზე ზრუნავენ.

სამიზნე რეგიონებში სექტორთაშორისი თანამშრომლობის სტიმულირების მხარდაჭერის მიზნითა და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად დაფინანსდა **2 ბიზნესპროექტი** (ენების ლაბორატორია - რუსთავი, ქვემო ქართლი; სოფტლაბი - ოზურგეთი, გურია), სადაც 14 ადგილობრივი მაცხოვრებელი დასაქმდა და დამატებით, ხელი შეეწყო როგორც მოწყვლადი ჯგუფების უცხო ენებში გადამზადებას, ასევე, IT სპეციალისტების მომზადებას.

34 სკოლაში ამოქმედდა „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია“ (IEL), რომელიც 824 მოზარდს აერთიანებს. არაფორმალური განათლების სასკოლო კლუბებს 56 ფასილიტატორი ხელმძღვანელობს, რომელთა მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების განსაზღვრას. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 630-ზე მეტი მასწავლებელი, ხოლო იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიებში გამოვლინდა 150-ზე მეტი დამოუკიდებელი ინიციატივა და დაფინანსდა 23 მცირე საგრანტო პროექტი.

სამეწარმეო განათლებისა და კარიერის მართვის სასკოლო პროცესში დანერგვის ხელშესაწყობად გამოიცა **<u>სახელმძღვანელო</u>** „როგორ დავნერგოთ სამეწარმეო

განათლება და კარიერული დაგეგმვა პროფესიული ორიენტაცია სკოლაში“ და **გზამკვლევი** ზოგადი განათლების საფეხურისთვის „საპროექტო იდეები სამეწარმეო კომპეტენციის განვითარების და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისთვის“.

პროექტის ფარგლებში **5 პროფესიულ სასწავლებელთან (VET)** წარიმართა თანამშრომლობა მათი ორგანიზაციული გაძლიერების მიზნით. შემუშავდა შრომის ბაზრის კვლევის მიზნობრივი ინსტრუმენტები, რაც პროფესიულ სასწავლებლებს მათ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში არსებული საჭიროებების დამოუკიდებლად შეფასებისა და ახალი პროგრამების დანერგვის შესაძლებლობას აძლევს. შედეგად, შეიქმნა 3 ახალი, მოკლევადიანი, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა.

გურიაში, კახეთსა და ქვემო ქართლში პროექტის „უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის“ განხორციელების შედეგად:

- 347 ადამიანი დასაქმდა,
- 55-მა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა საკუთარი ბიზნესი დაიწყო,
- ხოლო პროექტის სერვისებით 3300-მდე ადამიანი ისარგებლა.

მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობა 2009 წელს დაიწყო.

მოცემული პროგრამის მთავარი მიზანია საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა.

პროგრამის ძირითადი აქტივობები:

1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

2. სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი

3. მომხმარებელთა დაცვის სისტემის გაუმჯობესების ადვოკატირება

4. მომხმარებელთა კონსულტაცია.

მომხმარებლის უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

პროგრამამ სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შემდეგი საგანმანათლებლო მასალები შეიმუშავა: 7 მოკლე ანიმაცია, 5 ბუკლეტი, 3 ონლაინქვიზი და 49 ელექტრონული პოსტერი.

ეს იუმორისტულ სტილში მომზადებული მასალები ფართო საზოგადოების ინფორმირებას ისახავს მიზნად სურსათის უვნებლობისა და ჯანსაღი კვების საკითხების, ასევე, ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ.

მასალები გამოქვეყნდა ვებსაიტსა და ფეისბუქის გვერდზე momxmarebeli.ge. ანიმაცია „ევროპული ინტეგრაცია და სურსათის უვნებლობა“, ასევე, სოციალური რეკლამის სახით, 7 სატელევიზიო არხზე გავიდა ეთერში. ვებსაიტიდან momxmarebeli.ge ანიმაციების ნახვების რაოდენობამ 38 000-ს მიაღწია. ბუკლეტების ნაბეჭდი ვერსიები რეგიონებსა და თბილისში დარიგდა. ონლაინქვიზები გამოქვეყნდა ვებსაიტზე on.ge. და სულ 30 000-ზე მეტი ნახვა დააგროვა.

პროგრამამ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო მედია პროდუქტებისთვის, რომლებიც საქართველოში სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობენ ხელს. კონკურსში წარდგენილი იყო 16 მედიასაშუალების 23 ნამუშევარი. განაცხადები განიხილეს პროგრამის თანამშრომლებმა და მედიის/სურსათის უვნებლობის 3 ექსპერტისგან შემდგარმა ჟიურიმ. შეირჩა 6 გამარჯვებული, რომლებსაც ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში ჩატარდა 19 საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა თემაზე „ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის როლი საქართველოში სურსათის უვნებლობის გაუმჯობესებაში“. ღონისძიებებს ესწრებოდნენ არასამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების, მედიის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიზნესის წარმომადგენლები - სულ 591 ადამიანი.

პროგრამა მუდმივად იპყრობს მედიის ყურადღებას. მისი საქმიანობა ხშირად შუქდება და პროგრამის თანამშრომლებს ხშირად სთხოვენ კომენტარის გაკეთებას მომხმარებლის უფლებების სხვადასხვა საკითხზე. 2024 წელს, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, მედიის მიერ გაშუქების 47 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის ტელევიზიით, რადიოთი, ონლაინპლატფორმებითა და ბეჭდური მედიით.

სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი

პროგრამამ, რეგიონულ სამოქალაქო ორგანიზაციებთან/პარტნიორებთან თანამშრომლობით, თაფლის უვნებლობის მონიტორინგი განახორციელა. CSRDG-ის რეგიონულმა პარტნიორებმა თაფლის 36 ნიმუში შეიძინეს სავაჭრო ობიექტებში და მცირე მოვაჭრეებთან. მონიტორინგი ჩატარდა კახეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის 15 მუნიციპალიტეტში. თაფლის ნიმუშები ჩაბარდა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას 9 ფართოდ გავრცელებული ანტიბიოტიკის ნარჩენების შესამოწმებლად. საბედნიეროდ, ანტიბიოტიკები არცერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა.

ამ შედეგებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ვერ განვაზოგადებთ. თუმცა, ისინი ადასტურებენ, რომ საქართველოში თაფლის უვნებლობის დონე გაუმჯობესდა.

ლაბორატორიული კვლევების შედეგები გამოქვეყნდა ვებსაიტზე და ფეისბუქის გვერდზე momxmarebeli.ge.

პარალელურად, CSRDG-იმ დაიწყო საქართველოში თაფლის უვნებლობის მდგომარეობის თვისებრივი კვლევა. კვლევის ანგარიში 2025 წელს გამოქვეყნდება.

მომხმარებელთა დაცვის სისტემის გაუმჯობესების ადვოკატირება

პროგრამა აგრძელებდა 2023 წელს შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ოფიციალური შეხვედრა მოაწყო, რომელიც მიეძღვნა პროგრამის მიერ 2023 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშს „რძესა და რძის ნაწარმთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი საქართველოში“.

გარდა ამისა, პროგრამამ განახორციელა მონიტორინგი 2023 წელს ჩატარებული რძის ნაწარმის მცენარეული ცხიმის გამოყენებით ფალსიფიკაციის გამოვლენის შედეგად სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) მიმართვების შესრულების შესახებ. პროგრამამ მოამზადა ანგარიში, რომელშიც შეჯამებულია მონიტორინგის დასკვნები და რეკომენდაციებია შემუშავებული. ანგარიში გამოქვეყნდა ვებსაიტზე momxmarebeli.ge და გაეგზავნა სეს-ს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პარლამენტს.

იმედია, პროგრამის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას.

მომხმარებელთა კონსულტაცია

მოქალაქეებს 81 კონსულტაცია გაეწიათ სხვადასხვა სამართლებრივ და არასამართლებრივ საკითხზე, რაც მათ, როგორც მომხმარებლებს, საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვაში დაეხმარა.

ღია მმართველობის ხელშეწყობის მიმართულების - ამოცანაა ღია და საჭიროებებზე დაფუძნებული მმართველობის დასამყარებლად, მთავრობისა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. არსებული ამოცანების სრულყოფისათვის ორგანიზაციაში ორი პროგრამის ფარგლებში ვმუშაობთ, ესენია - კარგი მმართველობის და ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამები.

კარგი მმართველობა - ადგილობრივი თვითმართველობების მიერ გამჭირვალობის, ანგარიშვალდებულების და მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება მართვის პროცესში.

ევროინტეგრაციის ხელშეწყობა - საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების უკეთ იდენტიფიცირების, მონიტორინგის და ადვოკატორების კუთხით.

კარგი მმართველობის ხელშეწყობა

ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ადგილობრივ აქტივისტთა ჯგუფების მხარდაჭერის გზით, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება და სამოქალაქო კულტურის ფორმირება.

1998 წლიდან აქტიურად მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის საკითხებზე ვმუშაობთ. მრავალწლიანმა საქმიანობამ, არაერთმა განხორციელებულმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საქმეში. შესაბამისად, კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროგრამა ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა.

პროგრამის ძირითადი საქმიანობა

ჩვენი ექსპერტების მიერ მომზადებული პრაქტიკული ხასიათის კვლევები და დიაგნოსტიკური ანგარიშები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა თვითმმართველი ერთეულების ფისკალური გამჭვირვალობისა და პროგრამულად ხარჯების აღწერა/აღრიცხვიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების დანერგვა/იმპლემენტაცია, მუნიციპალური ქონების ფორმირებისა და განკარგვის პროცესში მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობების დამკვიდრება, დემოკრატიული მმართველობის ინოვაციური სისტემების შემოღება, ქვეყნის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ხელშეწყობა და შემდგომი განვითარება, ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ზრდა და სხვა. პროგრამის ფარგლებში მომზადებული კვლევებისა და რეკომენდაციების საშუალებით ვეხმარებით ცენტრალურ და ადგილობრივ ინსტიტუტებს პრობლემების გადაწყვეტაში.

გარდა ამისა, ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და პროექტებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

თვითმმართველობებთან მუშაობისას ჩვენი მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებელი მონიტორინგისა და კონსულტაციის პროცესის ერთობლიობაა. მონიტორინგის მეშვეობით იდენტიფიცირებული ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობის ძირითადი ხარვეზები და პრობლემები, მათი გასაჯაროება, ხელს უწყობს მათი მხრიდან არსებულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებასა და რეაგირებას. არსებული რეკომენდაციების მიწოდება, ტექნიკური დახმარება, რომელიც მოიაზრებს კონსულტაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან აქტიურ მუშაობას, წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესების მყარ საფუძველს.

2024 წელს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა საჯარო სტრუქტურებთან ორგანიზაცია ძირითადად მუშაობდა სახელმწიფო შინმოვლის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. იხილეთ სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამის მიერ განხორციელებული საქმიანობები.

ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების (EUGAA) ხელმოწერის დღიდან, CSRDG ხელს უწყობს საქართველოს რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალმხრივ ჩართულობას შეთანხმების დროული და სათანადო განხორციელების მონიტორინგსა და ადვოკატირებაში.

მიმართულების მიზნია, საზოგადოებამდე მიტანა იმისა, თუ კონკრეტულად რა ვალდებულებებს ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმება. ვინაიდან აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოებამ აკონტროლოს ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესი და მოსთხოვოს ხელისუფლებას მისი სათანადო შესრულება, აუცილებელია მეტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვა ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციაში.

ძირითადი საქმიანობები:

- ექსპერტთა შეფასებების მომზადება ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ და მიღებული შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ვიზუალიზაცია
- ტრენინგები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის ასოცირების შეთანხმების საკითხებზე;
- ღია წვდომა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ მოკლე განმარტებით ვიდეოებსა და შესაბამის შეკითხვებზე
- მცირე გრანტები (5,000-10,000 ევრო) ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე

ტრენინგები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის ასოცირების შეთანხმების საკითხებზე;

საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერების და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობაში მათი მეტად ჩაბმის მიზნით ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში ვატარებთ სხვადასხვა თემატიკაზე ტრენინგებს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 1 ონლაინ ტრენინგი ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებებით ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების და მათი შესრულების თაობაზე (მონაწილეობა მიიღო 10-მა დაინტერესებულმა ადამიანმა).

ღია წვდომა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ მოკლე განმარტებით ვიდეოებსა და შესაბამის შეკითხვებზე

საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება 30-ზე მეტ დარგს მოიცავს. და ის საკმაოდ მოცულობითი და რთული, ტექნიკური დოკუმენტია. იმისათვის, რომ საზოგადოებამ მარტივად გასაგებ ენაზე შეძლოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების ირგვლივ ინფორმაციის მიღება,

ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში სხვადასხვა სფეროების ირგვლივ ვამზადებთ **მოკლე, სახალისო ვიდეოებს საზოგადოებისათვის.** ვიდეოებს ახლავს განმარტებითი მასალები და ცოდნის შესამოწმებელი კითხვები. ეწვიეთ გვერდს **ასოცირება-ჯი** (http://asocireba.ge/).

2024 წლის განმავლობაში მომზადდა და asocireba.ge ვებ-გვერდზე განთავსდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების 15 განმარტებითი ანიმაცია:

- წყლის რესურსების მართვა
- სასამართლოს რეფორმა
- საჯარო შესყიდვები
- სამეწარმეო სამართალი
- ჰაერის დაცვა
- არჩევნების საერთაშორისო პრინციპები
- არჩევნები როგორც დემოკრატიის საფუძველი
- საარჩევნო სისტემები
- ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა
- კონკურენციის სამართალი
- საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვა
- ავტოტრანსპორტის რეგულირება
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
- სურსათის ევროპული კანონმდებლობა
- ცხოველური წარმოშობის სურსათი

მცირე გრანტები (5,000-10,000 ევრო) ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე

ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრაქტიკულად ჩაბმის მიზნით ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე ვაცხადებთ საგრანტო კონკურსებს.

2023 წლის ბოლოს ჩატარდა 1 საგრანტო კონკურსი და 2024 წლის დასაწყისში გაიცა 7 მცირე გრანტი ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე. მათ შორის 2 შემთხვევაში საგრანტო კომისიის მიერ განაცხადი დასახვეწად გადაეცა CSRDG-ს "გრანტების ლაბორატორიას" და მხოლოდ არსებითი გაუმჯობესების შემდეგ დაფინანსდა.

ექსპერტთა შეფასებების მომზადება ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ და მიღებული შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ვიზუალიზაცია

2021-2024 წლებში დაფინანსებული გრანტიორების მიერ მომზადდა და 2024 წელს asocireba.ge ვებ-გვერდზე განთავსდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფასების 38 ანგარიში:

- ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მონიტორინგის ანგარიში
- ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მონიტორინგი იმერეთის თვითმმართველობების ორგანოებში
- ნარჩენების მართვის მონიტორინგი გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში
- ყველისა და ნედლი ხორცის ბიზნესოპერატორების კვლევა იმერეთის რეგიონში
- ყველისა და ნედლი ხორცის მომხმარებლების კვლევა იმერეთის რეგიონში
- ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების შეფასება
- ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესის მედია-გაშუქების მონიტორინგის ანგარიში
- საქართველო, უკრაინა და მოლდოვა - ქვეყნების პოლიტიკა ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად
- პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგი საპარლამენტო კონტროლის, არჩევნებისა და მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით
- სამეგრელოს რეგიონში სურსათის ეტიკეტირების/წარდგენისა და ვარგისიანობის ვადების მოთხოვნების დაცვის მონიტორინგის ანგარიში
- პოლიტიკური პოლარიზაციის ანალიზი სოციალური მედიის საშუალებით - LLM მოდელების გამოყენება
- რეგიონული სტატისტიკის წარმოების ევროპული სისტემის ანალიზი
- რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ქართული პრაქტიკის ანალიზი
- ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ვალდებულებები და მათი აღსრულების შეფასება აბაშის, მარტვილის და ხონის მუნიციპალიტეტებში
- ნარჩენების მართვის მონიტორინგი დუშეთის მუნიციპალიტეტში და ნარჩენების მართვის მონიტორინგი თიანეთის მუნიციპალიტეტში
- ნარჩენების მართვის გეგმის მონიტორინგი ადიგენის მუნიციპალიტეტში
- საქართველოში აკვაკულტურის საჭიროებების კვლევა და რეკომენდაციები სფეროს განვითარებისთვის
- ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური განყოფილებების მონიტორინგი თელავში, ყვარელში, ახმეტასა და გურჯაანში
- ევროკომისიის რამდენიმე რეკომენდაციის შესრულების შეფასება
- ევროკავშირის მე-4 რეკომენდაციის (ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება) შესრულების მონიტორინგი
- ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების შეფასება
- ნარჩენების მართვის მონიტორინგი დუშეთის მუნიციპალიტეტში

- გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი
- იმერეთის რეგიონში რეალიზებადი ბოსტნეულისა და ხილის ქიმიური შედგენილობის კვლევა სურსათის უვნებლობის მაჩვენებლებზე
- რამოდენიმე კატეგორიის სურსათის ეტიკეტირების მონიტორინგი
- ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი კონკურენციის სამართლის კუთხით
- სურსათის უვნებლობის კვლევა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, მეორე ეტაპი რეკომენდაციები მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის
- HACCP-ის დანერგვის მონიტორინგი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში
- ნარჩენების მართვის მონიტორინგი გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში
- ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და შესაბამისი მექანიზმები იმერეთის საჯარო დაწესებულებებში
- ენერგოეფექტურობის კანონის შესრულების მონიტორინგი იმერეთის 2 მუნიციპალიტეტში
- შრომის უფლებათა დაცვის გარანტიების მონიტორინგი სს საქართველოს რკინიგზაში
- ენერგოეფექტურობა ცაგერსა და ლენტეხში საქართველოს ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ფონზე
- გარეულ ცხოველებთან კონფლიქტების მონიტორინგი სოფელ სახვლარში
- ასოცირების შესახებ შეთანხმების მონიტორინგი ტურიზმის მიმართულებით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში
- შენობების ენერგოაუდიტი და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების რეკომენდაციები: ქედას №1 ბაგა-ბაღი; დუნდაგის ბაგა-ბაღი
- შშმ თემის ჩართულობა მუნიციპალურ პროგრამებში გორსა და ქარელში - მონიტორინგის ანგარიში და რეკომენდაციები
- შშმ ბავშვთა ინტერესების დაცვა ხარაგაულის, ზესტაფონის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში -კვლევის ანგარიში
- ბოსტნეულსა და მწვანილში ნიტრატების კვლევა და ფერმერული პრაქტიკის ანალიზი
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონის აღსრულების მონიტორინგი ქვემო
- ენერგოეფექტურობის მიდგომების დანერგვა საქართველოში - შენობის ენერგო-აუდიტი

კონტაქტი:

მისამართი:	**მისამართი: თბილისი 0177, ჯებაშვილის I გასასვლელი N.5 (ყოფილი დელისის I შესახვევი, 5ა)**
ტელეფონი:	**(995 32) 2 39 90 19**
E-mail:	**office@csrdg.ge**
ვებგვერდი:	**www.csrdg.ge**